



რევაზ

მინდორაშვილი

REVAZ MINDORASHVILI

ოთარ მაღლაკელიძე

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguja Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenaishvili

პროექტის კოორდინატორი
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsiauri

ტექსტი
ოთარ მაღლაკელიძე

TEXT
Otar Maglakelidze

დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქცია
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ქელიძე,
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავიძე,
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო
გიგა გურასაშვილი, ბადრი კეთილაძე, ელგუჯა ბერიშვილი,
გიორგი ჭანიშვილი, www.sportphoto.ge


PHOTO
**Giga Gurasashvili, Badri Ketiladze, Elguja Berishvili,
Giorgi Chanishvili, www.sportphoto.ge**

პარტნიორები
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია

PARTNERS
**Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
Georgian Wrestling Federation**

ISSN 2233-3096
ISBN 978-9941-0-3773-3

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები



რევაზ მინდორაშვილი

2011


ერთმა კაცმა ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე და ოლიმპიადებზე მედლების ისეთი კოლექცია შეკრა, ძალიან ბევრი ქვეყნის მთელ საჭიდაო ისტორიას რომ გადანონის. რაც მთავარია, ეს ყველაფერი სულ რაღაც 6 წელიწადში მოასწრო. 2002-2008 წლებში ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა და ოქროებს ზედ 5 ვერცხლ-ბრინჯაოც დაურთო. ეს კაცი გახლავთ რეზო მინდორაშვილი, რომელმაც დაიჩივლა — დროში ველარ ვეტევი, თორემ ოლიმპიადებზე ერთხელ მეორე ადგილზე გავიდოდი, ერთხელაც მესამეზე და ყველა დიდი შეჯიბრების ყველანაირ მედალს შევაგროვებდიო.

პირველად 2003 წელს შევხვდი, გაზეთ „სარბიელში“ მუშაობის დაწყების მცდელობისას. ჯერ მხოლოდ ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი იყო და ახალი ევროპირველობისთვის ემზადებოდა. წინასწარ შევთანხმდით, დილის ვარჯიშის მერე რედაქციაში წავიდოდით ინტერვიუს ჩასაწერად. რამე რომ არ გამომჩენოდა, შეკითხვები ფურცელზე მქონდა ჩამოწერილი. ახლა რომ ვუფიქრდები, ზედმეტად მორიდებული ვიყავი, მაგრამ ერთ-ერთი პირველი რესპოდენტი ჩემზე მეტად მორცხვი შემხვდა.

ერთი ჩვეულებრივი დილის ვარჯიშის შემდეგ ფალავანთა კლუბიდან ლამის ყველაზე ბოლო გამოვიდა. მოკრძალებულად მომესალმა. ტაქსი გადაჩერეთ. ცხელოდა და ჩაჯდომისთანავე შუშის ჩამოსაწევს ვეცი. რეზოს მხარეს ფანჯარა ღია აღმოჩნდა, მაგრამ სასწრაფოდ დახურა — ნავარჯიშეზე გაცივების საშიშროება მატულობს და მწვრთნელმა გვთხოვა, ძალიან ფრთხილად ვიყოთ, წინ ევროპის ჩემპიონატი გველოდებაო.

საქმისადმი სათუთი დამოკიდებულებით და გულწრფელობით ყველა მოხიბლა, ვინც კი რედაქციის ოთახში ინტერვიუს ჩაწერისას იჯდა. თავშივე მორიდებით გვთხოვა — თუ რაიმე კარგად არ გამომივა, ცოტა შეალამაზეთო. სულ რაღაც ერთ საათში, გამოცდილ თუ ახალბედა ჟურნალისტებიანად, ყველანი რეზო მინდორაშვილის პირადი გულშემატკივრები გავხდით.

ჩვენი ფავორიტი რამდენიმე კვირაში ევროპის ჩემპიონი გახდა. იმავე წელს მსოფლიოს კვარცხლბეკზეც ავიდა, მერე კი ნელ-ნელა ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა. ბევრს მის ადგილას თავბრუდამხვე-





ვი კარიერა გონებას აურევდა, გაათამამებდა, ძველ ცუდ დროს მიავიწყებდა. რეზო მინდორაშვილი კი ყველა დიდი შეჯიბრების მომგებიც ისეთივე უბრალო და ალალია, როგორც 2003 წლის გაზაფხულზე იყო.

ყველაფერი კოლაბში ღაინყო

რევან მინდორაშვილი: „სპორტის პირველივე სახეობა, რომლითაც დავინტერესდი, ჭიდაობა იყო. სოფელი კოლაგი, ისევე როგორც გურჯაანის რაიონის თითქმის ყველა სოფელი და საერთოდ, მთელი კახეთი, ტრადიციული ქართული ჭიდაობით ცხოვრობდა. კვირა არ გავიდოდა, ნახერხიან საჭიდაოზე ტურნირი ან უბრალოდ ერთი საინტერესო შეხვედრა მაინც არ ჩატარებულა. ნებისმიერ მსურველს შეეძლო ნახერხზე გასულიყო და თავისი შესაძლებლობები მოესინჯა, პატარა ბავშვიდან დაწყებული, მოხუცით დამთავრებული.“

რა დამავინწყებს იმ ატმოსფეროს, საჭიდაო მოედნის გარშემო რომ იყო შექმნილი. მთელი რაიონი გამოეფინებოდა ხოლმე ჭიდაობის საყურებლად. ერთი პატარა სოფლის შეჯიბრებაზე იმაზე მეტი ხალხი გროვდებოდა, ვიდრე დღეს საქართველოს ჩემპიონატებს ესწრება. ცხადია, ყველას ჰყავდა თავისი ფავორიტი ფალავანი და მიდიოდა დიდი გულშემატკივრობა. აბა, ამის შემყურე ბავშვებს სხვა სახეობაზე როგორ უნდა გვეფიქრა?

პატარაობიდანვე დავდექი ნახერხზე. ველოსიპედით დავდიოდი ხოლმე სავარჯიშოდ. გადავწყვიტე, ისეთი ძლიერი მოჭიდავე გავმხდარიყავი, ჩემთვისაც ექომაგათ. როგორც ჩანს, გარდა მონდომებისა, სპორტული ნიჭიც აღმომაჩნდა და თავიდანვე ისე დავიწყე, უფრო მეტად ჩავვარდი აზარტში. ჩემზე გაცილებით უფროსებს და მძიმეებს ტოლს არ ვუდებდი. ხალხით გარშემორტყმულ მოედანზე გასვლა და ჭიდაობა მართლა ყველაფერს მერჩივნა. გამარჯვების ჟინი მემატებოდა და უდიდეს სიამოვნებას ვიღებდი. შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე მთელ დროს ვარჯიშში ვატარებდი.

ალბათ თორმეტი წლისა ვიქნებოდი, ძიუდოზე რომ შევედი. ადვილად ავუღე ალლო, ქართული ჭიდაობის ილეთების ცოდნა დამეხმარა. სულ რა-

ღაც სამი თვის ვარჯიშის შემდეგ საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატში გამოვედი და მესამე ადგილი დავიკავე. სულ ადვილად შეიძლებოდა, სწორედ ძიუდოს გავყოლოდი, ეგებ წარმატებული ძიუდოისტიც გამოვსულიყავი, მაგრამ... რატომღაც არ გავაგრძელე. ზუსტად არც კი მახსოვს, რატომ შევიკავე თავი.

პაუზა ცოტა ხანს გაგრძელდა. ერთ დღესაც, ბიძაშვილმა, თემურ მინდორაშვილმა თავისუფალი სტილით ჭიდაობის მწვრთნელთან, დავით გონაშვილთან მიმიყვანა. ეს არის კაცი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ჭიდაობას მიუძღვნა და პირადად ჩემს სპორტსმენად ჩამოყალიბებაში ლომის წვლილი მიუძღვის. ძლიერი სპეციალისტია და მას შემდეგ, რაც გურჯაანში ბავშვების ჯგუფი გახსნა, თავისუფალი ჭიდაობა ყველაზე პოპულარული სახეობა გახდა მთელს რაიონში. დარბაზში ტევა არ იყო. მწვრთნელს ყველანი უდიდესი პატივისცემით შევცქეროდით და მისი ერთი სიტყვა ჩვენთვის კანონი იყო.

გონაშვილი წარმოშობით დედოფლისწყაროდან იყო. გურჯაანში საკუთარი სახლიც კი არ ჰქონდა. იქამდე ეს კაცი კრასნოიარსკში, საქვეყნოდ ცნობილ მწვრთნელთან, დიმიტრი მინდიაშვილთან ვარჯიშობდა. საკმაოდ კარგი სპორტსმენიც იყო, მაგრამ მძიმე ტრავმების გამო აქტიურ სპორტს ნაადრევად ჩამოსცილდა. მინდიაშვილმა ერთ-ერთ უსაყვარლეს მონაფეში მწვრთნელობის კარგი მონაცემები შენიშნა და გონაშვილს ურჩია, ამ გზას გაჰყოლოდა. ცოტა ხანში კი საქართველოში, კერძოდ გურჯაანში გამოუშვა, იქაურობას მიმიხედუო. დიმიტრი მინდიაშვილიც კახეთიდან იყო. გადანყვეტილი ჰქონდა, თავადაც დაბრუნებოდა მშობლიურ მხარეს, მას შემდეგ, რაც თავისი გამოგზავნილი სპეციალისტი გურჯაანის საჭიდაო სკოლას მაქსიმალურად გამოაცოცხლებდა და სიტუაციას შეამზადებდა.

დავით გონაშვილი საქმეს მთელი სერიოზულობით მიუდგა. გურჯაანის რაიონში ბინა იქირავა და დარბაზში თავისუფალი ჭიდაობით დაინტერესებულ ახალგაზრდებს უხმო. პირველსავე ვარჯიშებზე მივხვდი, რომ ამ სახეობას აღარაფერზე გავცვლიდი. მწვრთნელს გამორჩეული სავარჯიშო სტილი ჰქონდა, რომელიც არა მარტო მე, ყველა დამწყებ მოჭიდავეს ძალიან გვიზიდავდა.



მონდომება არც იქამდე მაკლდა, მაგრამ ახლა აშკარად გამოიჩინა. რაიონში ხმა უცებ გავრცელდა, რუსეთიდან უძლიერესი სპეციალისტი დაბრუნდა და შვილი ყველას საჭიდაო დარბაზში მოჰყავდა. სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში უკვე არაერთი პერსპექტიული სპორტსმენი გამოჩნდა. შეჯიბრებებზეც დავინწყეთ სიარული და ხარისხიანმა მზადებამ ნელ-ნელა შედეგიც მოიტანა. დავით გონაშვილი ჩვენი კერპი იყო და ვცდილობდით მისთვის მიგვებაძა.


მალე საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატში ოქროს მედალი მოვიპოვე და საბჭოთა კავშირის მასშტაბის ტურნირებზე დავინწყე სიარული. ძალიან ხშირად, გონაშვილს თავისი ფულითაც წაუყვანივარ. რომელ რესპუბლიკაშიც არ უნდა ვყოფილიყავით, დიმიტრი მინდიაშვილიც ჩამოდიოდა და ყურადღებით გვაკვირდებოდა. ჩვენი წარმატებებით ჩვენზე არანაკლებ ხარობდა და შეცდომებზეც მიგვითითებდა. იყო შემთხვევები, მის მონაფეებთან გვინევდა დაჭიდება. ახლაც მჯერა, იმ მომენტში ჩვენი გამარჯვება უფრო ახარებდა ხოლმე. ყოველთვის ძალიან საჭირო რჩევებს მაძლევდა. მეც მაქსიმალურად ვითვალისწინებდი მის დარიგებებს და მოგებულებაც ვრჩებოდი. თავადაც სიამოვნებდა, ჩემგან დიდ პატივისცემას რომ გრძნობდა და ისე დამიახლოვდა, მეუბნებოდა, ჩემი შვილიშვილი ხარო.

გურჯაანში მინდიაშვილიც რომ ჩამოსულიყო და მას და გონაშვილს საქმე ერთად გაეკეთებინათ, დარწმუნებული ვარ, გაცილებით ძლიერი საჭიდაო სკოლა ჩამოყალიბდებოდა, მაგრამ წინასწარი გეგმის განხორციელება — მშობლიურ მხარეში დაბრუნება ვერაფრით შეძლო. დრო გადიოდა და ამ მხრივ სასიკეთო ძვრები არ ჩანდა. დავით გონაშვილმა კი დაახლოებით ხუთი წელი გაატარა ნაქირავებ ბინაში და ბოლოს, ძალიან რომ გაუჭირდა, იძულებული გახდა წასულიყო. ეს ჩვენთვის, ჭიდაობაზე შეყვარებული ბავშვებისთვის დიდი ტრაგედია იყო. იმ პერიოდში არაერთმა ისეთმა ახალგაზრდამ მიანება სპორტს თავი, სერიოზული კარიერის აწყობა რომ შეეძლოთ. ხოლო ვინც მაინც დავრჩით, ჩვენით ვიკრიბებოდით ხოლმე და მწვრთნელის გარეშე, ერთმანეთს ვავარჯიშებდით. უკვე რაღაც მიღწევებიც მქონდა და ისეთ ინტერესში ვიყავი ჩავარდნილი, სულაც უპატრონოდ რომ გამეგრძელებინა, სპორტში მაინც ბოლომდე დავრჩებოდი.

მამა-შვილი რეზო და
შალვა მინდორაშვილები



გურჯაანელ ჭაბუკ
მოჭიდავეთა გუნდი
ჩერტკოვოს (უკრაინა)
საერთაშორისო
ტურნირზე. მარჯვნივ
— რეზო მინდორაშვილი
და მწვრთნელი
დავით გონაშვილი





რევაზ მინდორაშვილი:
„სპორტის პირველივე
სახეობა, რომლითაც
დავინტერესდი, ჭიდაობა
იყო. სოფელი კოლაგი,
ისევე როგორც გურჯა-
ანის რაიონის თითქმის
ყველა სოფელი და სა-
ერთოდ, მთელი კახეთი,
ტრადიციული ქართული
ჭიდაობით ცხოვრობ-
და. კვირა არ გავიდოდა,
ნახერხიან საჭიდაოზე
ტურნირი ან უბრალოდ
ერთი საინტერესო შეხ-
ვედრა მაინც არ
ჩატარებულყო.“

გონაშვილი დროდადრო ჩამოდიოდა ხოლმე გურჯაანში, მთლად უყუარადლებოდ რომ არ დავრჩენილიყავით. კაცი, რომელიც მართლა ჭიდაობისთვისაა დაბადებული, მაქსიმალურად ცდილობდა, რამით კიდეც დავხმარებოდა. სკოლა რომ დავამთავრე, მირჩია, იქნებ როგორმე ოჯახმა საშუალება გამოძებნოს და თბილისის ფალავანთა კლუბში გააგრძელო ვარჯიშიო. მართლა ძალიან დუხჭირად ვცხოვრობდით, მაგრამ მწვრთნელის სურვილს უყურადღებოდ როგორ დავტოვებდი. დღე და ღამე იმ დროზე ვფიქრობდი, თბილისში, ქვეყნის მთავარ საჭიდაო დარბაზში რომ მოვემზადებოდი.“

დავით გონაშვილი (რევაზ მინდორაშვილის პირველი მწვრთნელი): „1989 წელს, დიმიტრი მინდიაშვილმა რუსეთიდან გურჯაანში გამომიწვა, რათა საჭიდაო სკოლა ჩამომეყალიბებინა. თვითონაც გეგმავდა ჩამოსვლას და უნდოდა სიტუაცია შემზადებული დახვედროდა. საქმეს მე და ნუგზარ გოგიტიძემ მივხედეთ. აბსოლუტურად ნულიდან დავიწყეთ, მაგრამ არ გავეჭვირვებია, რადგან რაიონის ხელმძღვანელობისგან მაქსიმალური ხელშეწყობა გვექონდა. ორი სექცია გავხსენით. ერთი თავად გურჯაანში, ხოლო მეორე — სოფელ კოლაგში, საიდანაც რეზო იყო. კოლაგის სექციას სათავეში ჯემალ ამისულაშვილი ჩაუდგა.“

ძალიან კარგად მახსოვს დარბაზში რეზოს პირველად შემოსვლა. 13 წლისა იყო. პირველსავე ვარჯიშზე ერთ-ერთ გამორჩეულ ბავშვს დავაჭიდე და ისეთი ლამაზი კისრული გაუკეთა, ყველა გააოცა. მონაცემები აშკარად ჰქონდა. ამას საოცარი შრომისმოყვარეობაც ემატებოდა. დღეში ორჯერ ვატარებდით ვარჯიშს — დილაადრიან, ბავშვებს სკოლამდე რომ მოესწროთ და — საღამოს. მინდორაშვილი არც ერთ ვარჯიშს არ აცდენდა. ერთ-ერთი პირველი მოდიოდა და სულ ბოლო ამთავრებდა ხოლმე. გარდა ამისა, ხშირად შუადღით ინდივიდუალურად ემზადებოდა. ბავშვები ხუმრობით „დანკრატას“ ეძახდნენ, რა თქმა უნდა, ფიზიკური სიძლიერის გამო.

გურჯაანში სექციების გახსნისთანავე საჭიდაო ბუმი დაიწყო. დარბაზში ტევა არ იყო. ყველა ასაკის ბავშვებს ვილებდით სავარჯიშოდ. საქართველოში მაშინ ტურნირები იშვიათად ტარდებოდა, მაგრამ გამოცდილების პრობლემა მაინც ნაკლებად გვანუხებდა. მთელი ჯგუფი კახეთის სხვა სა-

ჭიდაო სკოლებში მიგვყავდა ხოლმე და იქაურ ბავშვებთან ვაჭიდავებდით. სულ რაღაც ერთ წელიწადში პირველ საკავშირო ტურნირზეც წავედით — ოდესაში. 17-კაციანი შემადგენლობიდან მხოლოდ 2 სპორტსმენი დარჩა სამეულს მიღმა. რეზომ ყველა შეხვედრა მოიგო და ჩემპიონი გახდა. მოტივაცია იქამდეც არ აკლდა, მაგრამ წარმატებამ გაცილებით მიზანსწრაფული გახადა. 15 წლის იყო, მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონი რომ გახდა, 44 კილოგრამ წონით კატეგორიაში.

საქმე აშკარად წინ მიდიოდა. ძალიან ბევრი ნიჭიერი ბავშვი გამოჩნდა და ეს შიდა პირველობებსა და საერთაშორისო ტურნირებზეც დადასტურდა. მაგრამ, სამწუხაროდ 1994 წელს რაიონის დატოვება მომიხდა. სასტუმრო „კორტებიდან“, რომელშიც მე და გოგიტიძე ხუთი წლის განმავლობაში ვცხოვრობდით, გამოგვიშვეს, აქაოდა, სამხედროები უნდა შევასახლოთო. ისეთი არეული პერიოდი იყო, მინდიაშვილის საქართველოში დაბრუნებაც გამოირიცხა და იძულებული გავხდი ჩემს რაიონში — დედოფლისწყაროში წავსულიყავი.

დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში მაინც ჩავდიოდი გურჯაანში ვარჯიშების ჩასატარებლად. ბავშვების დალაღობა არ მინდოდა, მაგრამ გამოსავალი არ ჩანდა. ერთ დღეს, დარბაზში რომ მივედი, არავინ არ დამხვდა. თურმე ბიჭებს მოუღაპარაკიათ, ნულარ ვანუხებთ კაცსო. ცოტა ხანს მაინც ვცდილობდი ტემპი არ დამეგდო, მაგრამ საქმის ბოლომდე გატანა ვეღარ შეეძლო. დღესაც გული მწყდება იმ პერიოდზე. ქართულმა ჭიდაობამ არაერთი უნიჭიერესი სპორტსმენი დაკარგა.

რეზოს ისეთი ასაკი ჰქონდა, თბილისში ჩასვლა და ვარჯიშის მარლენ ოსიყმაშვილთან გაგრძელება ვურჩიე. ჯერ კიდევ აქტიური სპორტსმენობისას ცოტა ხნით თავადაც მქონდა მარლენთან ნავარჯიშები. მართლაც დამიჯერა, მაგრამ თბილისური ცხოვრება კარგა ხანს ვერ აინყო. სპორტული კუთხით ყველაფერი მშვენივრად მიდიოდა. ფინანსურად კი მართლა ძალიან უჭირდა, მაგრამ ისეთი მორიდებული იყო, ერთი სიტყვაც არ დასცდენია. რა თქმა უნდა, თვალყურს ვადევნებდი და მის შესახებ თავად რეზოს უთქმელადაც ყველაფერი ვიცოდი. ფალავანთა კლუბში მზადების პარალელურად, დროდადრო დედოფლისწყაროშიც ჩამოდიოდა ხოლმე სავარჯიშოდ.


უფროსებში საქართველოს ჩემპიონი 1997 წელს გახდა. თავისი თავის ცნობით არც იქამდე აკლდა, მაგრამ იმ წარმატებამ კიდევ უფრო თავდაჯერებული გახადა. რეზო მინდორაშვილი არის სპორტსმენი, რომელმაც მულჩაუხრელი შრომით საკუთარი თავი თვითონ შექმნა. რა თქმა უნდა, არც საჭიდაო მონაცემები აკლდა, მაგრამ მართო ეს კომპონენტი რომ საკმარისი არ არის, ამაში ნებისმიერი მწვრთნელი დამეთანხმება. საქართველოში უამრავი ნიჭიერი ბავშვია, მაგრამ თავიანთი მონაცემების სრულად გამოვლენაში ხელს ბევრი ფაქტორი უშლით. პირველ ყოვლისა, საქმისადმი არაპროფესიული მიდგომა.

მინდორაშვილის ერთი ძალიან კარგი თვისებაც მინდა ვახსენო. კონკრეტული შეჯიბრის წინ წინასწარ გრძნობდა ხოლმე, შეეძლო თუ არა შედეგის ჩვენება. ეს მართლა გამორჩეული ნიჭია. თავადაც ვიყავი სპორტსმენი და როდესაც მეგონა, წინ ვერავინ დამიდგებოდა, სწორედ მაშინ ვაგებდი ხოლმე. ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო ბევრი სპორტსმენი დასჯილა. რეზოს უპირატესობა კი ის იყო, რომ სიტუაციას ყოველთვის რეალურად აფასებდა და იშვიათად, რომ პროგნოზი ვერ გაემართლებინა.

პეკინის ოლიმპიური თამაშების წინაც, ასი პროცენტით დარწმუნებული იყო თავის თავში. სიმართლე გითხრათ, მეც მჯეროდა, რომ ჩემპიონობის უმთავრესი ფავორიტი იქნებოდა. საბოლოოდ კი მაშინ დავრწმუნდი, ფინალისკენ მიმავალ გზაზე გიორგი კეტოევი რომ ჩამოიცილა. ოლიმპიურ სიახლეებს რადიოთი ვგებულობდი, ფინალურ შეხვედრას კი ლამის მთელმა დედოფლისწყარომ ჩემს სახლში უყურა. ისეთი ბედნიერი წუთები, მაშინ რომ გამოვცაღეთ, ძნელი გასახსენებელია.“

ჩავერფლილი იმედი

„ოცნება რამდენიმე თვეში ამისრულდა. ჩავედი თბილისში და ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, ოთახი დარბაზიდან ძალიან შორს, ხუდადოვზე ვიქირავე. მასპინძლებიც იმავე სახლში ცხოვრობდნენ. ვაკეში სავარჯიშოდ ფეხით მივდიოდი ხოლმე და დაღლილ-დაქანცული უკან ისევ



მსოფლიო ჩემპიონატის
ფინალში რეზო
მინდორაშვილმა
კუბელი იოელ რომერო
დაამარცხა.
ბუდაპეშტი, 2005 წელი


ლუკა კურტანიძე და
რეზო მინდორაშვილი



ფეხით ვბრუნდებოდი. საშინლად ვილღებოდი, მაგრამ ისეთი მონდომებუ-
ლი ვიყავი, ჭიდაობის გამო უფრო დიდ დათმობებზეც წავიდოდი. გათენდე-
ბოდა თუ არა, ერთი სული მქონდა, დარბაზის გზას როდის დავადგებოდი.

ერთ დღეს, ვარჯიშიდან დაბრუნებულს სახლის ნაცვლად ნაცარი და
ნანგრევები დამხვდა. სანამ მე ვაკეში ვვარჯიშობდი, ხანძარი გაჩენილა
და შენობა მთლიანად განადგურდა. მასპინძლების უბედურებით დავინვი,
უსახლკაროდ დარჩნენ. არადა, უკეთეს დღეში არც მე ვიყავი. ისინი მეზობ-
ლებმა მაინც შეიფარეს, ღამის გასათევად, მე კი ღია ცის ქვეშ აღმოვჩნდი.
მთელი ჩემი ავლადიდება — სველი საჭიდაო ფორმით დამძიმებული ჩანთა
და ის ტანსაცმელი იყო, რომელიც იმ წუთში მეცვა. დიდი ბარგი ისედაც
არ მქონდა, მაგრამ რაც გამაჩნდა, ყველაფერი დაინვა.

გაოგნებული ვუყურებდი დანაცრულ შენობას და ვერ ვხვდებოდი, რა
უნდა მექნა. მერე აზრები დავალაგე და მივხვდი, საუკეთესო გადწყვეტი-
ლება იქნებოდა კახეთში, სახლში დაბრუნება. სხვა გამოსავალი უბრალოდ
არც მქონდა... ფიზიკურად და ემოციურად განადგურებულმა რკინიგზის
სადგურამდე ძლივს მივალწიე. გურჯაანისკენ ერთადერთი მატარებელი
დადიოდა, ოღონდ ჩამოსვლის და გასვლის დრო წინასწარ არათუ მგზავ-
რებმა, ხშირად რკინიგზის სადგურის პერსონალმაც კი არ იცოდა.



*რევაზ მინდორაშვილი:
„2008 წლის ევროპის
ჩემპიონატის ფინალში
გიორგი კეტოევს
შევხვდი. იგი მსოფლიოს
მოქმედი ჩემპიონი იყო.“*

აღმოჩნდა, რომ იმ მომენტში მატარებელი კახეთიდან ბრუნდებოდა. ლოდი-ნი სამი დღე გაიწეულა და მთელი ეს პერიოდი, მშიერ-მწყურვალი, ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე დავეხეტებოდი, იქვე მეძინა. უკვე ველარც ჭიდაობაზე ვფიქრობდი და საერთოდ ვერაფერზე, ჩემი სოფლის და სახლის გარდა. ოჯახის წევრებსაც ვერაფრით შევეხმიანე. ან კი რომც მომეხერხებინა და როგორმე დაკავშირებოდი, რა უნდა ექნათ. თავისი გასჭირვებოდათ. ჯობდა ზედმეტად არ ენერვიულათ და ყველაფერი მას შემდეგ გაეგოთ, როცა ჩავიდოდი.

როგორც იქნა, მატარებელმაც ჩამოაღწია და გურჯაანის გზას დავადექი, მაგრამ შვებით ამოსუნთქვამდე ჯერ კიდევ შორი იყო — წინ საშინელი მგზავრობა მელოდა. ყოველ წუთს შუქი ითიშებოდა და რამდენიმე საათიანი გზის გავლას დღენახევარი დასჭირდა. ჩემდა ბედად, ზაფხული იყო და გზადაგზა ხან ტყემალი ჩამოვკრიფე და ვჭამე, ხან ატამი. კოლაგში საშინლად დაქანცული და დასუსტებული ჩავედი.

სოფელში რამდენიმე თვე დავრჩი. ფინანსური შესაძლებლობა რომ ყოფილიყო, მეორე დღესვე დავბრუნდებოდი თბილისში, მაგრამ სამწუხაროდ, რეალობიდან გამომდინარე, ამის გაფიქრებაც კი მიჭირდა. ისევ იქაურ დარბაზში დავიწყე სიარული იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან, ფალავანთა კლუბში შესვლას ისევ შევძლებდი.

დღესდღეობით ქართულ ჭიდაობაში გაცილებით უკეთესი სიტუაციაა, ვიდრე ჩვენს დროს. თუნდაც მარტო სავარჯიშო პირობების გათვალისწინებით. თუ ახლა პერსპექტიული სოფლელი სპორტსმენი გამოჩნდება, მას ისეთი პრობლემები ნამდვილად არ შეექმნება, როგორც მე შემექმნა თბილისური ცხოვრების დაწყებისას. საცხოვრებელ ფართსაც გამოუძებნიან და თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენის შანსსაც მისცემენ.“

ისაპ თბილისი

„შემოდგომა იყო. სახლიდან რალაც ნივთები გავყიდეთ, ჩავაბარეთ სპილენძი, ქუჩა-ქუჩა შეგროვებული ჯართი და დედაქალაქის გზას დავადექი. ბინა უკვე ვაკეში ვიქირავე. თან ისე იაფად, რომ ვერც კი წარმოვიდგენდი. მასპინძელი ქალბატონი სადღაც მიდიოდა და ისეთ კლიენტს ეძებდა, ვინც ბინას მოუვლიდა. ერთი ოთახი დამიტოვა, დანარჩენები დაკეცა. იმ ერთ ოთახზე მეტი არც არაფერში მჭირდებოდა. ჩემთვის მთავარი თავშესაფარი იყო, თან ფალავანთა კლუბთან საკმაოდ ახლოს. საყვარელ დარბაზს მივაშურე და მარლენ ოსიყმაშვილის ზედამხედველობით გავაგრძელე ვარჯიში.“

მარლენ ოსიყმაშვილი: „16-17 წლის იქნებოდა, ფალავანთა კლუბის დარბაზში ბიძამისმა რომ მომიყვანა. ეტყობოდა, რომ ნავარჯიშევი იყო. ათლეტურობას არ ვგულისხმობ. ზოგადად, ძლიერი ბიჭი გამოდგა. ასეთი ახალგაზრდას გამოჩენა ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ მარტო ფიზიკური მონაცემები ბევრს არაფერს ნიშნავს. პირველსავე ვარჯიშებზე გამოჩნდა, რომ ძალიან მონდომებული იყო. ჯან-ლონე ბუნებისგან ჰქონდა მომადლებული და ამას საოცარი შრომისმოყვარეობაც ემატებოდა. ეს ორი რამ კი სრულიად საკმარისია დიდ მოჭიდავედ ჩამოსაყალიბებლად.“


რამდენიმე თვეში ქალაქის პირველობაზე გამოვიყვანე. დიდი შედეგი ვერ აჩვენა, მაგრამ ამას არც ვგეგმავდით. მთავარი იყო, რომ ის თვისება გამოამჟღავნა, რაც მაღალი დონის მოჭიდავეს უნდა ჰქონდეს — მებრძოლი ხასიათი. ჭაბუკობის და ახალგაზრდულ წლებში საერთაშორისო დონე-



ევროპის 2008 წლის
ჩემპიონატზე.
ტამპერე (ფინეთი)

ზე შედეგიანობით ვერ გამოიჩინა თავი. შეიძლება ითქვას, „გვიან გაიხსნა“. ზოგს მიაჩნია, რომ თუკი მოჭიდავე ასაკობრივ ტურნირებში ვერ ყოჩაღობს, უფროსებში გადასვლის შემდეგ კიდევ უფრო მეტად გაუჭირდება. ამ აზრს არავითარ შემთხვევაში არ ვეთანხმები და მტკიცებულებად არაერთი სპორტსმენის დასახელება შემიძლია. ჩემი აზრით, პირიქით უფროა. გაცილებით დიდი შანსია, სპორტსმენმა ჭაბუკობის და ახალგაზრდულ წლებში უმაღლეს დონეზე წარმოაჩინოს თავისი შესაძლებლობები, მაგრამ უფროსებში ველარაფერი ქნას და ჩაიკარგოს. რეზოს შემთხვევაში დარწმუნებული ვიყავი, რომ გარკვეული დროის შემდეგ, ეროვნული ნაკრების მთავარი კანდიდატი გახდებოდა.


როცა შევატყვე, ნაკრების დონეს მიუახლოვდა, მაშინდელ მთავარ მწვრთნელს, ვია გალდავას ვთხოვე, ერთობლივ შეკრებაში ჩაერთო. ვიცოდი, რომ ეს დიდ სტიმულს მისცემდა, თუმცა, როგორც გითხარით, მონდომება ისედაც არ აკლდა. იმ შეკრების შემდეგ მართლა „ერთი თავით გაიზარდა“. შეჯიბრებებზეც უფრო შედეგიანად აჭიდავდა და თუ აგებდა, იმ შეხვედრებიდანაც ძალიან ბევრს სწავლობდა. ამავდროულად, ფიზიკულ-ტურის აკადემიის სტუდენტიც იყო და იქაც ჩვეულად, პასუხისმგებლობით



გია გალდავა:
 „კარგად მახსოვს, ფალანთა კლუბში რეზოს პირველად გამოჩენა. ამ მოკრძალებულმა ყმანვილმა, რომელსაც ერთი შეხედვით განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემები არ ეტყობოდა, უცებ ყველა აალაპარაკა. გამოცდილი მოჭიდავეებიც კი გაოცებულები იყვნენ, საოცარი ძალის პატრონიაო.“

უდგებოდა საქმეს. არ ყოფილა ერთი შემთხვევაც კი, რომელიმე ლექტორთან შუამდგომლობა ეთხოვა. არადა, სპორტსმენებისგან მსგავსი თხოვნა ჩვეულებრივი ამბავი იყო. რეზო კი სწავლაშიც ყოჩალი აღმოჩნდა.“

რევაზ მინდორაშვილი: „უკვე ყველა პირობა მქონდა, მხოლოდ ვარჯიშზე მეფიქრა. შედეგი სწრაფად არა, მაგრამ მაინც მოვიდა. შიდა პირველობებზე გამარჯვებებს საერთაშორისო ტურნირებზე კარგი გამოსვლები მიენყო და ნელ-ნელა შემოსავლის წყაროც გამიჩნდა. ოღონდ ეს ყველაფერი არც ისე ადვილად მოხდა, როგორც ერთ წინადადებაში ჩავატიე. თუ რაიმე ფულადი ჯილდო გამოჩნდებოდა, ვცდილობდი არ დამეხარჯა. ვაგროვებდი, როგორმე ჩემი საკუთარი ბინის ყიდვა რომ მომეხერხებინა. დაახლოებით სამ-ოთხ წელიწადში მართლაც შევიძინე ერთოთახიანი ბინა, მაგრამ ამისთვის ჩემი დანაზოგის გარდა, მამაჩემის მანქანისა და დედაჩემის ოქროულობის გაყიდვაც გახდა საჭირო.“



რევაზ მინდორაშვილისა
და გიორგი
კეტოევის (რუსეთი)
ნახევარფინალური
შეხვედრა.
პეკინი 2008 წელი

ამდენი წვალებისა და დავიდარაბის მიუხედავად, იმ მძიმე წლებში მშობლებისგან ერთი პატარა წინააღმდეგობაც კი არ შემხვედრია. ბოლომდე მენდობოდნენ და მხარში მედგნენ. მამაჩემი უკვე ჩემზე მეტადაც კი იყო აზარტში ჩავარდნილი. არადა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჭიდაობას ვირჩევდი, დიდად კმაყოფილი ნამდვილად არ ჩანდა. ეს სახეობა თითქმის არ აინტერესებდა, მაგრამ ნელ-ნელა ჩაუღრმავდა და ახლა ჩემზე ბევრად მეტი იცის თანამედროვე ჭიდაობაზეც და ისტორიიდანაც.“

თამილა ბარაბაძე (რევაზ მინდორაშვილის მეუღლე): „რეზოს მამა ახალგაზრდულ წლებში ფეხბურთს თამაშობდა და როგორც ამბობენ, ძალიან კარგადაც გამოსდიოდა, მაგრამ თბილისში ჩასვლა და კარიერის აწყობა ფინანსური პრობლემების გამო ვერაფრით შეძლო. შეიძლება გაგინდეთ კითხვა, რეზოს ჭიდაობაზე შესვლის წინააღმდეგი იმიტომაც ხომ არ იყო, რომ უნდოდა შვილი ფეხბურთს გაჰყოლოდაო? ასე ნამდვილად არ იქ-

ნებოდა. ფეხბურთზე გული ისე ჰქონდა და აქვს აცრუებული, რომ ახლაც, რომ ვუთხარი, ბავშვი გვინდა ფეხბურთზე შევიყვანოთ-მეთქი, დიდად არ გახარებია.“

რევაზ მინდორაშვილი: „შაკოს ფეხბურთზე შეყვანა გადავწყვიტეთ. მგონი მონაცემებიც აქვს. რაც შეეხება ჭიდაობას, ჯერ თავს ვიკავებთ. ვნახოთ რა და როგორ იქნება. ფიზიკურად ისეთი ძლიერი ვერაა, როგორც მე ვიყავი მის ასაკში. სოფელში რომ ჩაგვყავს ხოლმე, აშკარად ჩანს, იქაური ბავშვებივით ჯანიანი რომ არაა. სოფელში გაზრდილ ბავშვს ქალაქელთან შედარებით ჯანიანობაში უპირატესობა რომ აქვს, ამაში გასაკვირი არც არაფერია. იქ სხვანაირად შრომობენ და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჰაერიც ისეთია, ყველა ჯანმრთელია.“

ფიზიკური მონაცემების მხრივ არასოდეს მიჭირდა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ფონს ამით გავდიოდი. ჩემზე ჯანიანებიც ბევრი იყვნენ დარბაზში. უბრალოდ, ამ ძალას ძლიერი, მეზრდოლი ხასიათი, შრომისუნარიანობა და გამძლეობაც უნდა ნახხმარო. დავისახე მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად უამრავი წინააღმდეგობა გადავლახე. რომ არა სპორტული ჩანაფიქრი, შეიძლება დიდ შარშიც არაერთხელ გავხვეულიყავი. კონფლიქტური საერთოდ არ ვარ და ამით ბევრი მოვიგე ცხოვრებაში, თუმცა იყო მომენტები, როცა ჩემისთანა მშვიდი ბუნების კაციც ვერ მოთოკავდა თავს. ბევრ სიტუაციაში უკანაც დამიხევია. ცუდ პერიოდში მომიხდა ცხოვრება, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი მაქსიმალურად მომთმენი ვყოფილიყავი და ნყობილებიდან არ გამოვსულიყავი.“

ლევან თედიაშვილი და ღათვი

„ყველა ბავშვს გვყავდა მისაბაძი მოჭიდავე. ქართველები ფალავნების ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივით. ჩემი თაობის მოჭიდავეთა უმეტესობისთვის განსაკუთრებით გამორჩეული იყო ლევან თედიაშვილი. მისი ჭიდაობა ცოცხლად არავის გვექონდა ნანახი, მაგრამ უფროსებისგან ისეთ შთამბეჭდავ ისტორიებს ვისმენდით, გაოგნებულები ვიყავით. პირადად

ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელია თედიაშვილისა და დათვის დაჭიდების მონარული ისტორია. ნამდვილად არ ვიცოდი, მართლა მოხდა ასეთი ამბავი თუ ლეგენდა იყო, მაგრამ ეს ნაკლებად მაღელვებდა. ვამბობდი, თუკი კაცზე მსგავსი რამე მოიგონეს, ესე იგი ისეთი ძლიერია, რომ მართლა შეუძლია სასწაულების ჩადენა-მეთქი.

ისიც კარგად მახსოვს, როგორ გავიცანი ჩემი სათაყვანებელი ფალავანი. საქართველოს ჩემპიონატზე ჯერ კიდევ გამოუცდელს მიყურა და გამომელაპარაკა. ალბათ, მოეწონა ჩემი ჭიდაობა. მას შემდეგ ბევრჯერ შევხვდით და დავახლოვდით კიდევ. საოცარი ადამიანია. რომ დამინახავს, ისეთ რამეს მეტყვის ხოლმე, ან გემრიელად გამაცინებს, ან სირცხვილისგან გამაწითლებს.


საბრძოლო ოქმი ისედაც არ მაკლდა. თედიაშვილის და დათვის ისტორიის გახსენება კი ისეთ ხასიათზე მაყენებდა, ვარჯიშის სურვილს მიათმაგებდა. ჭიდაობის გარდა არაფერზე არ ვფიქრობდი, ოღონდ ეს ხელს არ მიშლიდა თუნდაც საოჯახო საქმეების ძველებურად კეთებაში. მამაჩემს მართოს უწევდა შიდა მეურნეობის გაძლოლა და შეძლებისდაგვარად ვცდილობდი მის გვერდით ვმდგარიყავი. შრომა არასოდეს მეზარებოდა. პირიქით, მამის მხარდამხარ საქმის კეთება სიამოვნებას მანიჭებდა. და რაც მთავარია, ეს ყველაფერი სპორტშიც ძალიან მეხმარებოდა. საოცარი შრომისუნარიანობა და ნებისყოფა გამომიმუშავდა.

ახლაც, როგორც კი მომენტი ჩამივარდება, მაშინვე სოფელში გავრბივარ, რომ იქაურ საქმეებს მივხედო. შენს მამულში დალლა და შემდეგ შენი შრომით მოწეული მოსავლის ალება უდიდესი ბედნიერებაა. ძალიან, ძალიან მიყვარს ნადირობა. უშუალოდ პროცესს ვგულისხმობ — ბუნებაში მეგობრებთან ერთად გასვლა, მოსანადირებელი ფრინველის მოლოდინი და ზოგადად, სანადირო სიტუაცია. შეიძლება ვერც ვერაფერი მოკლა, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მხოლოდ ფრინველზე და კურდღელზე ვნადირობ, რა თქმა უნდა, მეგობრებთან ერთად. მსხვილფეხა ცხოველებზე ნადირობა ერთხელაც არ გვიცდია და ახლო გეგმებშიც ნამდვილად არ გვაქვს. ნადირობამდე ჩემი მთავარი გატაცება ბილიარდი იყო. სახლში რუსული ბილიარდის მაგიდა გვედგა და ბავშვობაში საკმაოდ კარგადაც





რევაზ მინდორაშვილისა
და გიორგი კეტოევის
ნახევარფინალი.
მინდორაშვილის ეს
ეფექტური გდება მსაჯებმა
3 ქულით შეაფასეს.
პეკინი, 2008 წელი



ჩემპიონობის მთავარი
პრეტენდენტების
(მინდორაშვილი და
კეტოვი) ნახევარფინალში
შეხვედრაში
ქართველმა ფალაგანმა
შანსი არ დაუტოვა
უძლიერეს მეტოქეს



Ω OMEGA


MINDORASHI


4

GEORGIA

RUS

KET





მინდორაშვილს 3 წუთი
და 51 წამი დასჭირდა
კეტოვის წმინდად
დასამარცხებლად

რევაზ მინდორაშვილი:
„გიორგისთან დიდი ხნის
ნაცნობობა მაკავშირებს.
ის საქართველოში დაბა-
დებულ-გაზრდილი ბიჭია.
მის შესაძლებლობებში
ეჭვი არავის გვეპარება
და მართლაც უძლიერესი
სპორტსმენია. რაც შეეხე-
ბა საქართველო-რუსეთს
შორის დაძაბულ ურთიერ-
ობას, შეხვედრის დროს
ამაზე არც ვფიქრობდი“.

ვთამაშობდი. თბილისშიც ვერთობოდი ბილიარდით, ოღონდ ჭიდაობისგან თავისუფალ დროს.

საკმაოდ დამჯერე სპორტსმენი ვიყავი და მწვრთნელის ყველა სიტყვას დიდი პატივისცემით ვეპყრობოდი, მაგრამ ყოფილა მომენტი, რეჟიმიც დამირღვევია. მაგალითად, გაუთავებელი მოსამზადებელი ვარჯიშების დროს ხანდახან ჩემი სოფელი და სახლი ისე მომნატრებია, რომ გავპარულვარ კიდეც შეკრებიდან. ოღონდ ამას ისეთ დროს ვაკეთებდი, როდესაც დარწმუნებული ვიყავი, საქმეს არ გავაფუჭებდი. კოლაგში რამდენიმე საათით ჩასვლა და ისევ შეკრებაზე დაბრუნება იმ მომენტში შეიძლება იმხელა მუხტი ყოფილიყო ჩემთვის, ვერც ერთი ვარჯიში რომ ვერ მომცემდა. საკუთარი თავის ფსიქოლოგი ვიყავი და ამ მხრივ მცირე პრობლემაც არასოდეს შემქმნია.

სპორტში ჩვეულებრივი ამბავია ცრურწმენა. ზოგს რა აქვს ცუდად დაცდილი, ზოგს რა. არიან მოჭიდავეები, ტურნირის წინ მოსალოდნელ ბრძოლებზე საუბარს რომ ერიდებიან. ზოგი წვერს არ იპარსავს, ზოგი ჟურნალისტებთან ურთიერთობას გაურბის, რადგან ფიქრობს, რომ შეიძლება ამის გამო ზედმეტად დაითრგუნოს. ასეთი წვრილმანების არასოდეს მჯეროდა და არაფერს ყურადღებას არ ვაქცევდი. ხშირად უკითხავთ, ტრიბუნაზე შენი ოჯახის წევრების ყოფნა დამატებით სტიმულს გაძლევს თუ ხელს გიშლისო. მიკვირს, როგორ უნდა შემიშალოს ხელი. გულშემატკივრების შეძახილების მოსმენას რა სჯობს. შეიძლება ზოგჯერ ჩემი მხარდამჭერების ხმა ვერც გავიგონო, მაგრამ რომ ვიცი, ტრიბუნაზე სხედან, ის მუხტი ძალიან მამხნევებს და მეხმარება. ჩემი მეუღლე, თამილა ჩემს ჭიდაობებზე საერთოდ არ დადის. არა იმიტომ, რომ მე ვუკრძალავ ან არ მსიამოვნებს. უბრალოდ, თვითონ იკავებს თავს. ტრიბუნიდან რომ მიყუროს, ეს ნამდვილად არ დამაბნევს. ერთადერთი, შეიძლება დარბაზში დედაჩემის ყოფნის შემთხვევაში ავნერვიულდე. ისიც იმიტომ, რომ თვითონ არ ინერვიულოს და ცუდად არ გახდეს. თუმცა, დარბაზში არც დედაჩემი მოსულა.

სპორტში უსამართლობები ჩვეულებრივი ამბავია. არ არსებობს მოჭიდავე, მსაჯების არაობიექტურობის ან უბრალოდ შეცდომის გამო რომ არ დასჯილიყოს. ჩემს კარიერაშიც საკმაოდ ყოფილა ასეთი მომენტები. ყვე-

ლაზე ცუდად მახსენდება 2004 წელს თურქეთში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის ფინალი. ადგილობრივ მოჭიდავეს ვხვდებოდი, ყველანაირად დავჯაბნე, მაგრამ მსაჯები რატომღაც ჩემს ილეუებს ვერ ამჩნევდნენ და პირიქით, მეტოქეს უთვლიდნენ ქულებს. საშინელ დღეში ჩამაგდეს და ევროპის ჩემპიონის ტიტულიც დამაკარგვინეს. რას ვიზამდი, ბედს შევეგუე, თუმცა იმ მარცხის მერე კიდევ უფრო მეტად მობილიზებული გავხდი. სპორტში კორუფცია ყოველთვის იქნება, ამის ბოლომდე აღმოფხვრაზე ვერც ვიოცნებებთ. მთავარია ამ უსამართლობებმა არ დაგთრგუნოს, თორემ შენ რეალურ შესაძლებლობებს ვეღარ გამოავლენ. ყველას ერთად უნდა აჯობო — მეტოქეს, მსაჯს, შენს საწინააღმდეგოდ განწყობილ დარბაზს...

სპორტსმენისთვის წაგება ადვილი გადასატანი არ არის. განსაკუთრებით ძძიმეა, როდესაც უსამართლობის გამო იჩაგრები. ასეთ სიტუაციაში არაერთხელ აღმოვჩენილვარ და გახსენებაც კი მაბრაზებს. თუ მოწინააღმდეგემ ალაღად მაჯობა, მაშინაც ვბრაზობ, ოღონდ უკვე საკუთარ თავზე. მერე ვცდილობ ცალკეულ ნიუანსებზე ვიმუშავო, შეცდომები გავითვალისწინო.

სერიოზული ტრავმა არასოდეს მიმიღია, მაგრამ რაც თავი მახსოვს, სულ რაღაც მანუხებდა. ეგაა, ყურადღებას არ ვაქცევდი. ჭიდაობა ტრავმული სახეობაა და ტკივილებიც მუდამ ახლავს. მე კი ბავშვობიდან გამომყვა მოთმენის არაადამიანური უნარი. ეს თვისება რომ არა, ვერც ოლიმპიური ჩემპიონი გავხდებოდი. პეკინში ერთი შეხვედრის ჩატარების უფლებასაც კი არ მომცემდნენ, რომ გაეგოთ, შეჯიბრების დაწყების წინ, მოთელვისას ნეკნი სერიოზულად დავიზიანე. არც კი შევიმჩნიე, არადა, საშინლად მანუხებდა.

ჩემი ძველი შეხვედრების ვიდეოჩანაწერების ყურება არ მიყვარს, თუმცა, თუ მომენტი ჩამივარდა, მეც მივადევნებ ხოლმე თვალს სხვებთან ერთად. მომავალი მეტოქის გასაშიფრად მისი შეხვედრების ჩანაწერებს საერთოდ არ ვუყურებ. კასეტის დახმარებით შერჩეულმა ტაქტიკამ შეიძლება მოგატყუოს. ყველაზე უტყუარია რეალობა. ლეიბზე რომ გავდივარ და მოწინააღმდეგეს ხელს ვკიდებ, პირველსავე შეხებაზე იმდენ ინფორმა-



ციას ვღებულობ, რომ ამას ვერც ერთი ჩანანერი ვერ შეცვლის. სხვა საქმეა ლეგენდარული ფალავნების შეხვედრების ვიდეოჩანანერების ცქერა. ეს ნამდვილად დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ბევრჯერ ყოფილა, ისეთი ილეთები დამიფიქსირებია, მანამდე რომ არ ვიცოდი. შემდეგ კი ვარჯიშებისას ამ ილეთების გამეორება მიცდია.“

ფალავანთა კლუბი

„ცალკე თემაა ვაკის ფალავანთა კლუბი. აქაურობაზე საუბარი დიდხანს არ მომწყინდება. შევაბიჯებ თუ არა, გულისცემაც სხვანაირი ხდება, თითქოს ტაძარში შევდიოდე. საოცარი ატმოსფეროა. თუნდაც მარტო ის რად ღირს, რომ სწორედ ფალავანთა კლუბის დარბაზში უვარჯიშია არაერთ ლეგენდარულ ფალავანს. ცოცხალი ვარსკვლავების მუზეუმი და და-



რევაზ მინდორაშვილისა და ტაჯიკი იუსუბ აბდუსალიმოვის ფინალური შეხვედრა სამი პერიოდი გაგრძელდა. პეკინი, 2008 წელი


ლიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემი წარმატებული კარიერაც ვაკის დარბაზში ვარჯიშის წლებს უკავშირდება.

ფალავანთა კლუბში ღამის გასათევი ოთახებიც იყო, სადაც გაჭირვებული არაქალაქელი სპორტსმენები რჩებოდნენ ხოლმე. მეც სიამოვნებით ვიცხოვრებდი, მაგრამ ადგილი არ იყო. ვარჯიშის დასრულების შემდეგ, სახლში წასვლამდე, ხშირად საათობით დავრჩენილვარ კლუბში, რომელიმე ცნობილი მოჭიდავის გვერდით რომ ვყოფილიყავი და მისი საუბრისთვის მესმინა. მათგან მართლა ძალიან ბევრი ვისწავლე. არა მარტო სპორტში, არამედ, ზოგადად, ცხოვრებაში. ყოფილა შემთხვევები, ვარჯიშების დროსაც მოუციათ რჩევა და ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო. ვცდილობდი, მათი ერთი სიტყვაც კი არ დამეტოვებინა უყურადღებოდ.

როცა ვაკის ფალავანთა კლუბზე ვლაპარაკობ, აუცილებლად იქვე უნდა ვახსენო ომზარ შოშიტაიშვილიც — საოცარი ადამიანი, ქართული ჭიდაობის ისტორიის ზეპირად მცოდნე. კაცი, რომელსაც არასოდეს არა-

...მინდორაშვილ-აბდუსალიმოვის გადამწყვეტი ოლიმპიური ბრძოლის პირველი ნუთი უქულოდ გაილია, მერე კი ტაჯიკმა ცოტა აანერვიულა ქართველი გულშემატკივრები. ცოტა ხანში ქართველი მოჭიდავე 2:1 დანიანურდა, მაგრამ მალევე, საკუთარ ილეთზე წამოეგო და სეტი 2:3 დათმო. ამის მერე კი აბდუსალიმოვის საცოდაობით დაინვებოდა კაცი. გაბრაზებულმა ქართველმა ტაჯიკი „შეჭამა“ — მეორე სეტი 3:0 მოუგო, გადამწყვეტ სეტში კი 4 უპასუხო ქულა აუღო.







ფერი ეშლებოდა. ბევრი სპორტსმენისთვის გაუმართავს ხელი, პირადად ჩემთვისაც, ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი იყო და მნიშვნელოვანი გადამწყვეტილებების მიღებისას თავისი სიტყვაც ეთქმოდა. ხელფასის დანიშვნის მთავარი კანდიდატი ვიყავი, მაგრამ მიზეზების გამო ვინაგრებოდი. ომზარმა რომ გაიგო, მითხრა, შენ არ ინერვიულო, მაგ საქმეს მე მივხედავო. ყველაფერი ისე მოაგვარა, შესხენებაც კი არ დამჭირვებია. ისეთ დროს გამიმართა ხელი, როდესაც ეს ყველაზე მეტად მჭირდებოდა. სიცოცხლის ბოლომდე ფალავანთა კლუბში ტრიალებდა. მისი გარდაცვალების მერე კი იქაურობა მართლა ძალიან შეიცვალა. ყველამ განვიცადეთ. თითქოს რაღაც საყრდენი გამოგვეცალა.“



პირველი, ვინც
მინდორაშვილს
ოლიმპიური ჩემპიონობა
მიულოცა, საქართველოს
ნაკრების მთავარი
მწვრთნელი ზაზა
თურმანიძე იყო



ბენვის სიღზე

„სამჯერ იყო ჩემს ცხოვრებაში მომენტი, როდესაც თავისუფლად შეიძლებოდა გამოუსწორებელი შეცდომა დამეშვა — ჭიდაობისთვის თავი დამენებებინა. ბავშვობიდანვე კარგად მქონდა გონებაში ჩაბეჭდილი, რომ უმაღლესი მიზნების მისაღწევად ყველანაირი ზენოლისთვის უნდა გამეძლო, მაგრამ მაინც არის ხოლმე ეპიზოდები, როდესაც შენდაუნებურად დუნდები და კატასტროფულ შეცდომას ერთი ნაბიჯი გაშორებს. საბედნიეროდ, სამივეჯერ გავიარე ბენვის ხიდი და ეს მთლიანად ჩემს გარშემო მოტრიალე ხალხის დამსახურებაა.

2004 წელს, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე რომ ჩავედი, ზურგს მიმაგრებდა ევროპის ჩემპიონატის სამივე სინჯის მედალი და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაო. სავსებით საკმარისი იყო, ფავორიტებს შორის რომ დავესახელებინეთ. სხვა თუ ასე ამბობდა, წარმოიდგინეთ თვითონ მე რა დღეში ვიქნებოდი. ჩემპიონობის გარდა ვერაფერზე ვფიქრობდი, მაგრამ, ისე მოხდა, სამეულშიც კი ვერ შევედი.

უმედლოდ დარჩენამ ჩემზე საშინლად იმოქმედა. დარბაზისკენ გახედვაც აღარ მინდოდა. ხან თბილისში ვიყავი, ხან კოლაგში, მაგრამ გულს ვერაფერს ვუდებდი. აქტიური სპორტიდან წასვლა რომ დავაპირე, ლუკა კურტანიძემ შემომთავაზა, ირანში წავიდეთ და იქაურ საკლუბო ჩემპიონატში ვიჭიდავოთო. დავთანხმდი, საქმე მაინც არაფერი მქონდა.

ირანში ისეთ საჭიდაო ატმოსფეროში მოვხვდი, გავიფიქრე, აბა, ჯერ რა დროს წასვლაა-მეთქი. რამდენიმე ძლიერ მონინალმდეგესთან მოპოვებულმა გამარჯვებამ ხასიათი გამომიკეთა. მივხვდი, ჩამოსაწერი არ ვიყავი და თბილისში დაბრუნებისთანავე ისევ ფალავანთა კლუბს მივაშურე ძველებური, საბრძოლო განწყობით.

ცოტა ხანში ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზე ტრავმა მივიღე. მძიმე ტრავმა არ იყო, მაგრამ ამის გამო წაგება ჩამითვალეს და რალაცნაირად დავითრგუნე. ერთხელაც დავფიქრდი კარიერის დასრულებაზე. აქ უკვე ჩემმა ახლადშერთულმა მეუღლემ გადამაფიქრებინა — ერთი ოქრო ჩემს სახელზეც ხომ უნდა მოიგოო.“

თამილა ბარაბაძე: „2005 წელს, უნგრეთში უნდა წასულიყო მსოფლიოს ჩემპიონატზე. ბოლო მოსამზადებელ შეკრებაზე ბორჯომში იყო, როცა დავურეკე და ვუთხარი, ბუდაპეშტში სამი ადამიანის სახელზე მოგიწევს ჭიდაობა-მეთქი. დაიბნა, რატომ? შვილი გვეყოლება-მეთქი. დამპირდა, აუცილებლად გაგახარებთო და შეასრულა კიდეც — მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მომდევნო წელს კი შალვა შეგვეძინა“.

მარლენ ოსიყმაშვილი: „ერთი პერიოდი, 90-იანი წლების ბოლოს ძალიან შეიცვალა და ჭიდაობისთვის თავის მინებება გადაწყვიტა. მძიმე დრო იყო, მატერიალურად თითქმის ყველას გვიჭირდა, რეზოს კი განსაკუთრებით. რამდენჯერ ყოფილა, ვარჯიშზე მოსულს უთქვამს, დღეს პური და ხახვი ვჭამეო. თან ჯერ კიდევ ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა, ოჯახშიც უჭირდათ და ბევრს ვერაფერს ეხმარებოდნენ. მოკლედ, უამრავი მიზეზი ჰქონდა სპორტზე გულის ასაცრუებლად, მაგრამ მარტო ამ მიზეზების გამო მაინც მეექვსეა, ვარჯიშის შეწყვეტაზე დაფიქრებულიყო.“

რეზოსთან ერთად ერთი გურჯაანელი ბიჭი ვარჯიშობდა. ფაქტობრივად ერთდროულად მოვიდნენ დარბაზში. ისიც ძალიან ძლიერი იყო ფიზიკურად და საკმაოდ პერსპექტიულიც, მაგრამ მოულოდნელად ჭიდაობისთვის თავის დანებება გადაწყვიტა და ვერაფრით გადავაფიქრებინეთ. როგორც ჩანს, ამანაც იქონია მინდორაშვილზე გავლენა. ბევრი არაფერი მითქვამს, თავის ნებაზე მივუშვი. ვიფიქრე, ჩემი პრინციპულობით შეიძლება უფრო გავალიზიანო-მეთქი. მართლაც იყო ამის საშიშროება. ზოგადად დამჯერი ბიჭი იყო, მაგრამ ზოგჯერ — საშინლად ჯიუტი. უმაღლესი კლასის სპორტსმენებს ეს თვისებაც გამოარჩევთ. სათუთად ვუდგებოდნი, ვცდილობდი ისე იმ თვისებებზე გამემახვილებინა მისი ყურადღება, რომელთა წყალობითაც მსოფლიოს მასშტაბით წარმატებული მოჭიდავე უნდა გამხდარიყო. არჩეულმა სტრატეგიამ გაამართლა. საბედნიეროდ, მალევე მიხვდა, რომ შეცდომას უშვებდა და ძველი შემართებით გააგრძელა ვარჯიში.

პირველი დიდი შედეგი 2002 წელს, 25 წლის ასაკში აჩვენა — ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. სწორედ ამ შეჯიბრებით დაიწყო საერთაშორისო არენაზე მაღალი დონის სპორტსმენის სახელით დამკვიდ-





ქართველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა პეკინში გამართულ პრესკონფერენციაზე ასეთი რამ თქვა: „ოჯახში ამბის გასაგებად რომ ვრეკავდი, სიმართლეს მიმაღავდნენ, ამას ჩემს შედეგზე გაველენა რომ არ მოეხდინა. მე დღეს მხოლოდ ჩემი ხალხისთვის ვიბრძოლე. ჩვენ სპორტსმენები ვართ და ომთან არანაირი შეხება არ გვაქვს, მაგრამ რაც ხდება, ამის მიმართ გულგრილი ვერ დარჩები.“

რება. მომდევნო წელს უკვე ევროპის ჩემპიონი გახდა, მსოფლიოს პირველობაზე კი მესამე ადგილზე გავიდა.

ხშირად მითქვამს, ყველა უმაღლესი კლასის მოჭიდავეს თავისი განსაკუთრებული ხელწერა აქვს. ეს ინდივიდუალურია და ვარჯიშიდან არ მოდის. მწვრთნელმა რამდენიც არ უნდა იშრომო, ორ ნიჭიერ სპორტსმენს აბსოლუტურად ერთნაირად ვერაფრით გამოზრდი. პარალელურად რამდენიმე ვარსკვლავი შეიძლება გამოჩედო, მაგრამ საქმეში ოდნავ ჩახედული ადამიანიც კი შენიშნავს მათ შორის რაღაც მნიშვნელოვან განსხვავებას. ეს ინდივიდუალური სტილია. რეზო მინდორაშვილის სტილს სწრაფძალისმიერს დავარქმევ.

ისევ ცოტა უკან დავბრუნდები და იმ ნაკლებზე ვიტყვი, რომლის აღმოფხვრასაც საკმაოდ დიდი დრო მოვანდომეთ. ოფიციალური შეხვედრებისას, რატომღაც, თავიდან სათანადოდ განწყობა უჭირდა. პირველი ორი წუთი თავისი შესაძლებლობების მესამედის გამოვლენასაც კი ვერ ახერხებდა. ხშირად ყოფილა, დიდი ანგარიშითაც ჩამორჩენილა, მაგრამ მერე, რაც დრო გადიოდა, ტემპს უმატებდა და შეხვედრის ბედს სათავისოდ შემოატრიალებდა ხოლმე. არადა, როგორც წესი, მოჭიდავეთა უმეტესობა პირიქითაა — აქტიურად იწყებს და ენერჯის ბოლომდე თანაბრად გადანაწილება უჭირს. ალბათ, ეს უცნაურობა რეზოს ხასიათიდან გამომდინარეობდა. ხოლო ის, რომ წაგებული შეხვედრის მოგება შეეძლო, მისი უდიდესი პოტენციალის მტკიცებულება იყო.

ქართველი ოლიმპიური
ჩემპიონები და მათი
ჩინელი მასპინძელი





პეკინის ოლიმპიადის
დახურვის ცერემონიაზე
საქართველოს დროშა
რევაზ მინდორაშვილს
მოჰქონდა

ანგარიშში გვარიანად ჩამორჩენილიც კი დარწმუნებული იყო, რომ შეხვედრის ბოლოს ტაბლოზე აბსოლუტურად საპირისპირო შედეგი დაეწერებოდა. რამდენჯერ ყოფილა, აქეთ დაუფშვინებია, ნუ ნერვიულობ, მაინც მოვიგებო. როგორც ვიცი, ზუსტად ასე უთხრა სეკუნდანტის სკამზე მჯდომ დავით ხურციას, პეკინის ოლიმპიური თამაშების ფინალში, პირველი ნაგებული სეტის შემდეგ. არადა, ტაჯიკ აბდუსალიმოვთან იმ შეხვედრამდე უარყოფითი ბალანსი ჰქონდა — ხუთი წლით ადრე, დალესტანში, საერთაშორისო ტურნირზე მასთან წმინდად დამარცხდა.

თავდაჯერებულობას არნახული საბრძოლო ჟინიც ემატებოდა. 2005 წელს, მახაჩყალაში, რუსეთისა და მსოფლიოს ნაკრებებს შორის ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს. რეზო მსოფლიოს ნაკრების ნევრად მიიწვიეს, მე კი — ერთ-ერთ მწვრთნელად. ამხელა სანახაობა დაგეგმეს და აბა როგორ შეიძლებოდა, საკუთარ კედლებში, გულშემატკივრების თვალწინ დამარცხებულიყვნენ. გამარჯვებისკენ სწრაფვა ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ რუსებმა თავიდანვე არასპორტული მეთოდებით დაიწყეს ბრძოლა, ემინოდათ, ვაი და არ შევრცხვეთო. ანონვაზე რომ მივედით, მხოლოდ მსოფლიოს ნაკრებში შეყვანილი მოჭიდავეები შეაყენეს სასწოროზე. მასპინძელთა გუნდი რომ მოვიკითხეთ, ისინი აღრიანადვე ავწონეთო, გვითხრეს. სინამდვილეში ეს აუცილებელი პროცედურა საერთოდ არ ჩაუტარებიათ.

რეზო მინდორაშვილი გიორგი კეტოევს დაუპირისპირდა. უეჭველი სამქულიანი გდება გაუკეთა, მაგრამ რატომღაც ორივეს თითო ქულა დაუწერეს. გაოცებულები ვიყავით. შეხვედრა კეტოევმა მოიგო, მინიმალური უპირატესობით. ლეიბიდან რომ გამოვიდა, კარგი ჭიდაობისთვის მადლობა გადავუხადა და შევაქე, ძალიან მაგრად იჭიდავე, კეტოევზე ბევრად ძლიერი ხარ-მეთქი. მიპასუხა — სადაც ყველაზე მეტად დაჭირდება მოგება, იქ გავამწარებო. პირობა სამი წლის მერე, პეკინში შეასრულა, ოლიმპიადის ნახევარფინალში. თუმცა იქამდე გიორგის კიდევ ერთხელ შეხვდა და ისევ წააგო — 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე, მოსკოვში. ამ მარცხისთვის დიდი მნიშვნელობა არც თავად რეზოს მიუქცევია და არც მე. ორივენი ასი პროცენტით ვიყავით დარწმუნებულები, რომ კეტოევს, რომელიც მართლა უძლიერესი სპორტსმენი იყო, უმნიშვნელოვანეს მომენტში აუცილებლად დაამარცხებდა.

ოლიმპიადამდე ერთხელ უკვე მოესწრო ანალოგიური დანაპირების შესრულება. 2004 წელს, დალესტანში, საერთაშორისო ტურნირზე უძლიერეს კუბელ მონინაალმდეგესთან წააგო, ოლონდ ჭიდაობაში არა. დაიწყო თუ არა შეხვედრა, კუბელი ისეთი სიძლიერით დაეჯახა, თავი გაუტეხა. სისხლდენის შეჩერება იოლი საქმე არ აღმოჩნდა და ექიმმა შეხვედრის გაგრძელების უფლება არ მისცა. ჭრილობა იმხელა იყო, რომ გაკერვა დასჭირდა. საშინლად გამწარებული იყო, ნეტავ როდის შევხვდები კიდევ, რომ

ვანანო. გულის ჯავრი სულ რაღაც ერთ წელიწადში იყარა, მსოფლიოს ჩემპიონატზე.

თბილისთან ახლოს სოფელი მაქვს და ფიზიკური მზადების ეტაპებზე ბიჭები საბარავად და სათოხნად მიმყავდა ხოლმე. ერთხელ გია გალდავამ ხუმრობით მითხრა, დაანებე ამ ბიჭებს თავი, სოფლებიდან ზუსტად თოხს და ბარს გამოექცნენო. ბევრი მართლა ცდილობდა, საქმისთვის თავი აერიდებინა. რეზო სულ ცოტა, სამი კაცის საქმეს აკეთებდა. დასვენებისას კი მკლავებზე აზიდვებს აკეთებდა. არანორმალურად მშრომელი იყო და ორგანიზმიც ხელს უწყობდა. ვარჯიშის დამთავრების შემდეგ დარბაზში რჩებოდა და ინდივიდუალურად ემზადებოდა. ხშირად მითქვამს, გეყოფა, ახლა წადი და დაისვენე-მეთქი. დარბაზის სხვა კუთხეში გადაინაცვლებდა და ჩემგან ფარულად აგრძელებდა ვარჯიშს. ყველა მწვრთნელმა ინატროს ისეთი ბეჯითი შეგირდი, რეზო მინდორაშვილი რომ იყო. მით უმეტეს, ამ სიბეჯითეს ბევრი საუკეთესო თვისება და მთავარი, ალალკაცობაც თუ უმაგრებს ზურგს.

2004 წელს, სტამბოლში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე კონტინენტის მოქმედი ჩემპიონის სტატუსით ჩავიდა და ჩემპიონურადაც იჭიდავა — ფინალში გავიდა, სადაც მასპინძლების ჯილას, გოხან იავასერს უნდა შეხვედროდა. ბრძოლის დაწყებამდე თურქებმა შუამავლები მოუგზავნეს და წაგების სანაცვლოდ დიდი თანხა შესთავაზეს. რამდენიმე ათეულ ათას დოლარზე იყო საუბარი და შეიძლებოდა ვინმეს ცდუნებისთვის ვერ გაეძლო, მაგრამ არა რევაზ მინდორაშვილს. გაოცებული სახით იძახდა, ასეთ რამეს როგორ ვიკადრებო. თურქეთში ფინალში თურქს ვხვდები და ყველა და ყველაფერი ჩემს წინააღმდეგ იქნება. შეიძლება მომიგოს, ან მოაგებინონ, მაგრამ მე თვითონ რომ მოვაგებინო, ამას როგორ ვიზამო. ისეთი ცუდი მსაჯობა იშვიათად მინახავს, როგორიც იმ ფინალისას იყო. მოგებული ოქროს მედალი ძალით წაგვართვეს. რეზო საშინლად იმედგაცრუებული იყო, მაგრამ იმავე დროს ამაყიც. მე ხომ მაინც ვიჭიდავე სუფთადო.

ჩვეულებრივი ამბავია, როდესაც მოჭიდავე შეხვედრას აგებს, თითქმის ყოველთვის ცდილობს თავის გამართლებას. ზოგი უძილობას იმი-



რევაზ მინდორაშვილი
და მანუჩარ კვიციანი

ზეზებს, ზოგი ცუდ მსაჯობას, ან რამე სხვას. არ მახსოვს, მინდორაშვილს ერთხელ მაინც ემართლებინოს თავი. მსაჯებსაც რომ დაეჩაგრათ, წაგებას მაინც თავის თავს აბრალებდა — უფრო მეტი უნდა გამეკეთებინა და ვერც ვერავინ დამჩაგრავდაო.

ლეგენდარულ ლევან თედიაშვილს ერთი საოცარი თვისება ჰქონდა. უმნიშვნელოვანესი შეხვედრის წინ ნახევარსაათიანი პაუზაც რომ ჰქონოდა, შეეძლო მშვიდად წაეძინა. საოცრად მშვიდი ნერვების პატრონი იყო. სწორედ მას შევადარებდი რეზოს, ოღონდ ამ უკანასკნელს ცოტა განსხვავებული ტაქტიკა ჰქონდა არჩეული. შეხვედრებს შორის დარბაზიდან გასვლა და ჰაერზე გასეირნება ყველაფერს ურჩევნოდა. თავისთვის წყნარად აწყობდა გეგმებს, ან შესაძლოა სულაც არ ფიქრობდა ჭიდაობაზე და უბრალოდ დარბაზსმიღმა ატმოსფეროთი იღებდა სიამოვნებას. არასოდეს ამ



*თანასოფლელებმა ხელში
აიტაცეს ოლიმპიური
ჩემპიონი. თბილისის
აეროპორტი*

პროცესში ჩარევა არ მიცდია. ვიცოდი, რომ ამით შეიძლებოდა ცუდი ზეგავლენა მომეხდინა, მისი სიმშვიდე დამერღვია. მხოლოდ უშუალოდ ქიდაობის დაწყებისას და მცირე შესვენებისას ვაძლევდი დარიგებებს.

შექახილებიც არ უყვარდა. შეიძლება ესმოდა კიდეც, მაგრამ თვითონაც მშვენივრად იცოდა როგორ მოქცეულიყო, ოღონდ ამის გამო უთანხმოება ერთხელაც არ მოგვსვლია. ხშირად მართლაც სჯობს, ზედმეტი შექახილებისგან თავის შეკავება, თუკი ხედავ, რომ სპორტსმენი თვითონაც აზროვნებს. შეგულიანება ყოველთვის სასარგებლო როდია.

ორი უმნიშვნელოვანესი გამარჯვება დაოჯახების შემდეგ მოიპოვა. ყველას ვეუბნები, რომ ამ ოქროს მედლებში ლომის წვლილი რეზოს მეუღლეს მიუძღვის. მონდომება და მიზანსწრაფვა ისედაც არ აკლდა, მაგრამ თამილა მაინც საოცრად აგულიანებდა. 32 წლის ასაკში ბევრი მოჭიდავე

კოლაგელების შესვენდრა
თბილისის აეროპორტში —
რეზო მინდორაშვილი
და გივი ბერიკაშვილი

რევაზ მინდორაშვილი:
„ჩინეთიდან დაბრუნე-
ბის შემდეგ არაერთი
პრიზი მივიღე, ყველაზე
უფრო კი ის დაჯილდო-
ება დამამახსოვრდა,
სადაც პრიზი ჩვენმა
საყვარელმა მსახიობ-
მა გივი ბერიკაშვილმა
გადმომცა. ბატონი გი-
ვიც კოლაგელია და ეს
ამბავი ძალიან მიხარია.“



უკვე ტრიბუნაზე ზის. მინდორაშვილმა კი ამ ასაკში უმთავრესი ჯილდო —
ოლიმპიური ოქროს მედალი მოიგო.

ნაკრების პეკინში წასვლამდე, დასკვნით ბორჯომულ შეკრებაში მონა-
წილეობა აღარ მიმიღია, მაგრამ უკვე ვიცოდი, რომ საჩემპიონოდ ასი პრო-
ცენტით მზად იყო. გუნდის ჩინეთში გამგზავრების წინაც არ მინახავს. ჭი-
დაობას სახლში, მარტო ვუყურებდი. თითქმის არ მინერვიულია. მჯეროდა
და იმიტომ. ოლიმპიადიდან დაბრუნებულს აეროპორტში დავხვდი. დაცვამ
მოაჯირს მიღმა ნაბიჯიც არ გადამადგმევინა, სანამ ვილაცამ არ უთხრა,
იცნობდეთ, რეზო მინდორაშვილის პირადი მწვრთნელიაო.

2008 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ძალიან ბევრს უკითხავს,
რას იზამს „მინდორა“, კიდევ შეძლებს ჭიდაობასო? მთავარია, რომ ვარ-
ჯიში არ მობეზრებია და საქმეს ისევე ისე უდგება-მეთქი — ვპასუხობ. ბევ-
რი სახელოვანი სპორტსმენი მინახავს, დიდების წლების შემდეგ წასვლის
დროისთვის გადაუცილებელია და თავისი მიღწევები გაუუფერულებია. რეზო
მინდორაშვილი ასეთთა რიცხვს ნამდვილად არ განეკუთვნება. თუკი თავს

შეატყობს, რომ ძველებურად ველარ ყოჩაღობს, თავსაც არ შეირცხვენს. სპორტიდან წაუგებლად წასვლაც ხომ უდიდესი ვაჟკაცობაა“.

რევაზ მინდორაშვილი: „უკვე 2006 წელს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მედლების სრული კომპლექტი მქონდა შეგროვებული. ერთადერთ მიულწეველ მიზნად ოლიმპიური ოქრო მრჩებოდა. ოცნების ასახედენად პირველი მთავარი ამოცანა ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება იყო. პეკინის ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე — 2007 წელს, ბაქოში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე აზერბაიჯანის სახელით მოჭიდავე ნოვრუზ ტემრეზოვთან წავაგე და ულიცენზიოდ დავრჩი, მაგრამ იმ მარცხს ოდნავადაც არ გავუტეხივარ. პირიქით, კიდევ უფრო მონდომებით მივუდექი საქმეს და თან, გარშემომყოფებს დავპირდი, ყველას დავუმტკიცებ, რომ ჩემი გზიდან ჩამოშორება ასე ადვილი არ არის-მეთქი.

მონდომებით ვემზადებოდი ახალი სეზონისთვის. ბათუმში ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატზე ნახევარფინალში გავედი, მაგრამ მერე ჭიდაობა შევწყვიტე, რადგან მცირე ტრავმა მანუხებდა და გამიზეზების რისკიც არსებობდა. შემდეგ კიევის საერთაშორისო ტურნირი მოვიარე მედლით და სასურველი ფორმა ნაბიჯ-ნაბიჯ აღვიდგინე.

2008 წლის ევროპის ჩემპიონატი ტამპერეში ჩატარდა. თითოეულ წონით კატეგორიაში ოლიმპიადის თითო საგზური თამაშდებოდა. მართალია, ეს ბოლო შანსი არ იყო, მაგრამ გადავწყვიტე, ევროპირველობაზევე მომეგვარებინა ლიცენზიის პრობლემა და მერე მოსამზადებელი ციკლი მშვიდად წარმემართა. პირველ წრეში, გერმანიის სახელით მოჭიდავე დავით ბიჩინაშვილს მოვუგე, შემდეგ — ესპანელ ხავიერ რამოსს, ბელარუს ივან იანკოვსკის და ებრაელ სერგეი კოლესნიკოვს. ფინალში გავედი და გიორგი კეტოევს შევხვდი. იგი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი იყო. წინა წელს, ამ ტიტულთან ერთად ოლიმპიადაზე გამგზავრების უფლებაც მოიპოვა, თან ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ წლის საუკეთესო მოჭიდავედ დაასახელა.

ლიცენზია ფინალისტობითაც დავიბევე, მაგრამ ევროპის მეორე ოქროზე აბა უარს როგორ ვიტყვოდი. სამწუხაროდ, მიზანს ვერ მივალწიე. ნავაგე, მაგრამ მაშინვე დავრწმუნდი, რომ შემდეგ შეხვედრაზე კეტოევს ყოველ მიზეზ გარეშე დავამარცხებდი.“

ლეოს მიღმა

„ბევრი ძლიერი და ტიტულიანი მონინააღმდეგე მყოლია, მაგრამ ძალიან გამიჭირდება რომელიმეს გამოჩენვა. უხერხულ მეტოქეებად ისევ და ისევ ქართველებს დავასახელებდი. თუნდაც გიორგი კეტოეცს, რომელიც ფალავანთა კლუბში ჩემს გვერდით გაიზარდა და რუსეთში გააგრძელა კარიერა. რომ წავიდა, პატარა, პერსპექტიული ბიჭი იყო. იქ კი საოცარი ტემპით გაიზარდა. უხერხულ მეტოქედ კი ქართული საჭიდაო სკოლის გავლის გამო მივიჩნევ. აქედან წასულ სპორტსმენს აქაური სანყისი სტილი მიაქვს და სავარაუდოდ ამ თავისებურებასთან დაპირისპირებაა ძნელი. კეტოევთან ახლაც ვმეგობრობ, ისევე როგორც დავით ბიჩინაშვილთან. ორივე მსოფლიო ჩიდაობის ვარსკვლავია.

საერთოდ, საქართველოდან წასულ ყველა მოჭიდავესთან ბრწყინვალე ურთიერთობა მაქვს. ძალიან კარგი ბიჭები არიან. ხალიჩის მიღმა ძმებივით ვართ. პეკინის ოლიმპიადის შემდეგ ჯანმრთელობის პრობლემა შემექმნა და გერმანიაში ჩასვლა გახდა საჭირო. ხელი ბიჩინაშვილმა გამიმართა. ვიზაც გამომიგზავნა და რაც შეეძლო, ყველაფერი გამიკეთა. დარწმუნებული ვარ, ნებისმიერ ქვეყანაში მყოფი ქართველი ლეგიონერი ასევე მოიქცეოდა. წასულები კი მართლა ბლომად არიან: ნოდარ ბოხაშვილი — საფრანგეთში, ზვიად ბიძიშვილი — ჰოლანდიაში, ზურაბ ლოლაშვილი — ავსტრიაში და კიდევ მრავალი. მეც წავიდოდი, მაგრამ აზრი არ ჰქონდა. ორ კვირაზე მეტხანს მაინც ვერ გავძლებდი... საქართველოში ჩიდაობა სულ რომ ამოიძირკვოს, მე მაინც აქ დავრჩები. უცხოურ ტურნირებზე წასვლისას წინასწარ იმაზე მეფიქრებოდა ხოლმე, როდის გავიდოდა დრო და უკან როდის დავბრუნდებოდი. ამ ქვეყნად ორი რამე არ მბეზრდება: თბილისი და ჩემი კახეთი.

რა გასაკვირია და კახეთში ჩემი ჩასვლა ყოველთვის ქეიფის მიზეზი ხდება. თუ წარმატებას მივალნიე, მაშინ კახური პურმარილი ჩემი იქ ყოფნის გარეშეც გარანტირებულია. ქართველები ვართ და ქეიფი ვის არ უყვარს. განსაკუთრებით მაშინ, ტურნირისთვის მზადებაში თუ ხელს არ მიშლის.“

ნიჭიერი, მაგრამ... შრომისმოყვარე

გია გალდავა (საქართველოს ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი): „არ მიყვარს, ვინმეზე რომ იტყვიან, ნიჭიერია, მაგრამ ზარმაციაო. როცა ამ სიტყვებს შევესწრები, მაშინვე ვამბობ — ასეთი ნიჭიერების არ მჯერა-მეთქი. ჩემი აზრით, სპორტში ყველაზე დიდი ნიჭი შრომისმოყვარეობაა. ამ თვისებას სპორტსმენში ყველაზე მეტად ვაფასებ. სწორედ შრომისმოყვარეობით, და არა მარტო ამითაა გამორჩეული რეზო მინდორაშვილი. მისნაირი მშრომელი და მიზანდასახული ადამიანი იშვიათად მინახავს. ამ მონდომებას და საქმის სიყვარულს რეზოს ჯანმრთელმა და გამძლე ორგანიზმმაც ძალიან შეუწყო ხელი და თავიდანვე თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ამ ბიჭს დიდი მომავალი ჰქონდა.“

კარგად მახსოვს, ფალავანთა კლუბში რეზოს პირველად გამოჩინა. ამ მოკრძალებულმა ყმანვილმა, რომელსაც ერთი შეხედვით განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემები არ ეტყობოდა, უცებ ყველა აალაპარაკა. გამოცდილი მოჭიდავეებიც კი გაცოცხლებები იყვნენ, საოცარი ძალის პატრონიაო. ძირითადად თავისზე მაღალი წონის სპარინგპარტნიორებთან ვარჯიშობდა. ამით უდიდეს სარგებელს იღებდა. მნიშვნელოვანწილად, მისი პროფესიული ზრდა ამ ჟინმაც განაპირობა. კარგა ხანს კურტანიძესთან ერთად ემზადებოდა და, რა თქმა უნდა, ამითაც ძალიან ბევრი ისწავლა.

მინდორაშვილის ფიზიკურ სიძლიერეზე საუბარი ჯერ კიდევ აქტუალური იყო, როდესაც უკვე მის კიდევ ერთ დადებით თვისებაზე ალაპარაკდნენ — ეს იყო შრომისმოყვარეობა. დარბაზში ვარჯიშების მერეც რჩებოდა და ინდივიდუალურად მუშაობდა.

საქართველოს ნაკრებს 1996 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ვამზადებდით. მარლენ ოსიყმაშვილი მოვიდა და მთხოვა, თუ ჩემს ალლოს ოდნავ პატივს სცემ, ერთ სანაკრებო შეკრებაზე მაინც ნაიყვანეო. მართლაც, შეკრებაზე ვიახლეთ და... მის მიმართ უდიდესი პატივისცემის გრძნობა გამიჩნდა. ის საქმისადმი დამოკიდებულება და სიბეჯითე, რომელზეც იქამდე სხვებისგან ვისმენდი, უკვე საკუთარი თვალთ დავინახე. არანაკლებ შთამბეჭდავი იყო რეზოს ქცევა დარბაზს მიღმა. თავისი სიალალით ყველა მოხიბლა. მძიმე პერიოდი იყო, შეკრებებზე მყოფთ ზოგად საცხოვრებელ

პრობლემებზეც თავად გვინევდა შრომა. რა დამავინწყებს, სასმელი წყლის პრობლემა შეგვექმნა. ჭურჭლები ავიღეთ და საიდანღაც ფეხით უნდა მოგვეზიდა წყალი. რეზო პირველი წამოხტა დასახმარებლად და ყველაზე დიდხანს აკეთა საქმე, რომლისთვისაც თავისუფლად შეეძლო თავის არიდება. ნებისმიერ მსგავს სიტუაციაში ცდილობდა რამით დაგვხმარებოდა.

წვრთნის დროს არც თუ იშვიათად ფეხბურთსაც ვთამაშობდით ხოლმე. მოედანზეც ისეთივე მებრძოლი იყო, როგორც საჭიდაო ხალიჩაზე. რამდენჯერ ყოფილა, თამაში დაგვიმთავრებია და რეზო მაშინ შესულა აზარტში, გეხვეწებით კიდევ ვითამაშოთო. ეს ძირითადად მაშინ ხდებოდა, როცა მისი გუნდი აგებდა. სასწაულ აზარტში ვარდებოდა.

სავარჯიშო პროცესის გარდა, შიგადაშიგ ბუნებაში გასვლაც გვინევდა. ერთხელ სამწვადე ავიღეთ და გადავწყვიტეთ სადმე ქალაქგარეთ, ჰაერზე დავმსხდარიყავით. რეზომ ხორცთან არავინ მიუშვა, ეგ ჩემი საქმეაო. თან, მწვადს ჩემებურად ვწვავ, ისე როგორც ვერავინ სხვაო. მართლა ჩინებულად შეწვა. იმის მერეც, თუკი სადმე ერთად წავიდოდით, მწვადს თავის თავზე მინდორაშვილი იღებდა. პეკინის ოლიმპიური თამაშების შემდეგ, კახეთში დიდი სუფრა გაშალა და იქაც თავისი „საფირმო“ მწვადით გაუმასპინძლდა ყველა სტუმარს. ძალიან წარმატებული კარიერა აქვს. მოუგებელი აღარაფერი დარჩა, მაგრამ ამ წარმატებებმა ადამიანურად ოდნავადაც ვერ შეცვალა. ისეთივე უბრალო და თავმდაბალია, როგორც კარიერის დასაწყისში იყო. ეს ძალიან დასაფასებელია.

ერთხელ ბუჯაისა საიტევემა თქვა: ვისთან არ მიჭიდავია, მაგრამ ასეთი არასოდეს არავინ მინახავს, შეხვედრის ბოლოსაც ზუსტად ისე ჭიდაობს, როგორც პირველ წამებზეო. სტილიც ისეთი ქონდა, საერთოდ არ პასიურობდა. სულ შეუპოვრად უტევედა და რაც მთავარია, ლეიბზე ავტორიტეტებს არ სცნობდა. მისთვის აბსოლუტურად სულ ერთი იყო, ვის პირისპირ იდგა. ყველას კბილებით ებრძოდა. ერთხელ, საერთაშორისო ტურნირზე ვიყავით. მარცხდებოდა და გამწარებულები ვკარნახობდით. ორიოდ წამით შეჩერებული შეხვედრით ისარგებლა და მითხრა, შეიძლება წავაგო, მაგრამ თავს შევაკლავო. ამაში კი ეჭვი არავის გვეპარებოდა. არ მახსენდება რეზოს ჩატარებული ერთი შეხვედრაც კი, რომელშიც ბოლო წვეთამდე არ დახარჯულიყოს.

რევანზ მინდორაშვილი არის სპორტსმენი, რომელმაც თავისი თავი შექმნა. ნულიდან დაიწყო და მუხლჩაუხრელი შრომით უმაღლესი მწვერვალები დაიპყრო. თავიდანვე მაქსიმალისტი იყო. თითქოს სულ რაღაცას ეძებდა. ჩვეულებრივი ამბავია, სპორტსმენი რომ დიდ გამარჯვებას მიაღწევს, თავის შეცდომებზე საერთოდ აღარ საუბრობს და აღარც კი ფიქრობს. რეზოს თვითკმაყოფილების გრძნობა არასოდეს ჰქონია. ამდენი სპორტული მწვერვალი დაიპყრო და ყოველი დიდი გამარჯვების მერე რაღაც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაინც რჩებოდა. ხშირად ყოფილა, თავის ჭიდაობაში პოულობდა შეცდომებს და მათ აღმოსაფხვრელად განსაკუთრებული მონდომებით იწყებდა მუშაობას.

რეზოს ძალისმიერ მოჭიდავეთა რიცხვს მიაკუთვნებენ და ამას არც მე უარვყოფ, მაგრამ ბოლომდეც ვერ ვეთანხმები. უმთავრესი შეჯიბრებები — ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები და ოლიმპიური თამაშები ილეთების კასკადით მოიგო, თან მრავალფეროვანი ფანდებით. თუნდაც იმ მომენტის გახსენება რად ღირს, ოლიმპიადის ნახევარფინალში, გიორგი კეტოევს ხელი რომ დაუკეცა. ძალიან რისკიანად, მაგრამ თავდაჯერებულად მოიქცა. თვითდაჯერებულება კი უდიდესი რამაა. მას სპორტსმენს სრულყოფილება აძლევს. როდესაც ყველა კომპონენტში უნაკლოდ ხარ მზად, რა გასაკვირია, რომ საკუთარი თავის რწმენაც გქონდეს.

2008 წელს, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ თბილისში რომ ვბრუნდებოდით, მკითხა, თუ იცი, რუსები ოლიმპიადაზეც გიორგი კეტოევს დააყენებენო? პასუხს არც დალოდებია, ჩაილაპარაკა: ნეტავ ეგ დააყენონო. რა თქმა უნდა, რევანზის წყურვილიც ალაპარაკებდა, მოსკოვური ევროპის ჩემპიონატის ფინალში სწორედ მასთან წააგო. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ რეზოს მართლა სწამდა — პეკინში მოუგებდა.

და ბოლოს, კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი — სასწაულად მშვიდი ბუნება. პეკინის ოლიმპიადა ისეთ პერიოდს დაემთხვა, მარტო ოპტიმალური ფორმით ფონს გასვლა წარმოუდგენელი იყო. ეს მომენტი თავის თავზე არაერთმა ისეთმა სპორტსმენმა გამოსცადა, ვისგანაც შედეგიანობას ველოდით. სულიერად ვერ გაუძლეს და ამისთვის ვერც ვერავინ დაძრახავთ. ჩემპიონები კი სწორედ ისინი გახდნენ, ვინც ყველაზე მეტად იყვნენ განო-



**ოთარ თუშიშვილი და
რევაზ მინდორაშვილი**

ნასწორებულნი. აბა ვინ გაბედავს თქმას, რევაზ მინდორაშვილი ვინმეზე ნაკლებად განიცდიდა მაშინდელ ქართულ ტრაგედიასო. უბრალოდ იმდენად მშვიდი ბუნებისაა, უმძიმესი ბარეირიც კი ერთი ამოსუნთქვით დაძლია.“

მძიმე ოლიმპიადა

რევაზ მინდორაშვილი: „პეკინის ოლიმპიადისწინა დასკვნით შეკრებას ნაკრების წევრები ბორჯომში გავდიოდით, როდესაც რუსეთის თვითმფრინავები შემოიჭრნენ. გორი-თბილისის საავტომობილო გზის მიდამოები



მუდმივად იბომბებოდა, არადა, სასწრაფოდ თბილისში ვიყავით ჩასასვლელები, ოლიმპიადაზე რომ გავფრენილიყავით. ერთადერთი გამოსავალი შემოვლითი გზით სარგებლობა იყო. დავადექით აბსოლუტურად უცნობ და საშინელ დღეში მყოფ გზას. უწყვეტი კოლონა კუს ნაბიჯით მიდიოდა. სოფლების ორლობებში გვინევდა სიარული და უამრავი „საცობი“ შეგვხვდა. თბილისამდე ჩამოღწევას თორმეტნახევარი საათი მოვუნდით. მთელი ის პერიოდი, მარტო სამგზავრო წვლებით რომ ყოფილიყო გამორჩეული, კიდევ არაფერი. მთელი დღის განმავლობაში სრულ საინფორმაციო ვაკუუმში ვიყავით. ტელეფონები არ მუშაობდა და ბიჭებმა ოჯახის წევრების ჯანმრთელობის შესახებაც არაფერი ვიცოდით.

*ოლიმპიური ჩემპიონი
სამაჩაბლოელ
ლტოლვილებთან*

თბილისში ჩამოსვლის მეორე დღით, კიევის გავლით, პეკინში გავფრინდით. ჩინეთში ყველა ქართველს ერთადერთი რამ გვაფიქრებდა — რა ხდებოდა საქართველოში? მოვლენებს უცხოური ტელევიზიებიც აქტიურად აშუქებდნენ და მათი საშუალებით საშინელ ინფორმაციებს ვიგებდით. ჩვენ საქართველოში დარჩენილ ოჯახის წევრებზე ვნერვიულობდით, ისინი კი — ჩვენზე. მეუღლეს რომ ვურეკავდი, სიმართლეს მიმალავდა. მეუბნებოდა, საშინი აღარაფერია, ჩვენზე ნუ დარდობო. არადა, ტელევიზორში ისეთებს ვნახულობდით... თბილისში დაბრუნების მერე თამილამ გამიმხილა, გატყუებდი, რომ დამემშვიდებინეო.“

თამილა ბარაბაძე: „ოლიმპიადის დაწყება ძალიან მძიმე პერიოდს დავემთხვა. სულ თავისუფლად შეიძლებოდა, ფსიქოლოგიური მომენტის გამო, ამდენი წლის შრომა წყალში ჩაყრილიყო, მაგრამ ჭიდაობის წინა საღამოს რომ დავურეკე, მივხვდი, მოსაგებად მზად იყო. მითხრა, წონის დაკლებამ ძალიან დამლალა, მაგრამ ხვალ დასვენებული გავალ ლეიბზე და წინ ვერავინ დამიდგებაო. მართლა ისე იჭიდავა, მჯეროდა, აუცილებლად ჩემპიონი გახდებოდა. ფინალში ცოტა კი გვანერვიულა, მაგრამ... „ოქროს შეხვედრას“ დედამთილთან ერთად ვუყურე. პირველსავე ნუთზე ტაჯიკმა ხელში რომ აიტაცა, კინალამ გული გამისკდა, მაგრამ იმ მომენტიდან როგორც კი თავი დაიძვრინა, დავრწმუნდი, აუცილებლად მოუგებდა. დავმშვიდდი, რადგან ვიცოდი, ფიზიკურად ძალიან ძლიერად იყო მომზადებული და მონინაალმდევე ვერაფერს დააკლებდა. ასეც მოხდა“.

რევაზ მინდორაშვილი: „სულ სხვანაირი ოლიმპიადა იყო. სასწაულად მძიმე და არასპორტული. სიტყვებით ვერ გადმოვცემ, რა ხდებოდა პეკინში, თითოეული ქართველის და პირადად ჩემს გულში. წარმოუდგენლად დათრგუნულები ვიყავით. ჭიდაობაზე ფიქრი მიჭირდა. ან კი როგორ უნდა შემძლებოდა, საქართველოში ომი იყო, ჩვენ კი ჩვენი ქვეყნისგან ძალიან შორს ისე უნდა გვეკეთებინა საქმე, თითქოს არც არაფერი ხდებოდა.“

ხალიჩაზე რომ გავედი, ძალა თავისით დამიბრუნდა. ყველაფრისგან გავითიშე და მთელი კონცენტრაცია შეჯიბრებაზე გადავიტანე. ჩემპიონი რომ გავხვდი, მაშინ კი მივხვდი, რომ ისევე ისეთი დათრგუნული ვიყავი. სიხარული საერთოდ ვერ განვიცადე. არადა, რამდენჯერ მქონდა სპორ-



ტსმენებისგან მოსმენილი, რომ ოლიმპიური ოქროს მოგებით გამონწვეულ სიხარულს ვერც ერთი ტიტულის მოგების სიხარული ვერ შეედრებოდა. პირადად მე, საქართველოს ჩემპიონობას უფრო მეტად გავუხარებოვარ, ვიდრე ჩინურ ოლიმპიადას. ერთადერთი, სიამაყის გრძნობა მაშინ დამეუფლა, კვარცხლბეკიდან დროშებს რომ ავხედე და ჩვენი დროშა რუსეთისაზე ზემოთ რომ ფრიალებდა.“

გზა კვარცხლბეკისკენ

ახლა კი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის პეკინური ოქროს გზა გავიხსენოთ.

რეზო მინდორაშვილმა პირველი წრე გამოტოვა და ხალიჩაზე მერვედფინალიდან გავიდა, სადაც ასევე ქართველი, გერმანიის სახელით მოჭიდავე დავით ბიჩინაშვილი ელოდა. ბიჩინაშვილისთვის რეზო ყოველთვის ურთულესი მეტოქე იყო და არც ახლა გამოუვიდა რამე. მართალია, მინდორაშვილმა პირველი სეტი დათმო, მაგრამ დანარჩენ ორში დამაჯერებლად იმარჯვა. მერე სომეხ არუთინ იენოკიანს დაეჭიდა, ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით — 2:0, 2:0 მოუგო და ნახევარფინალში გავიდა.

გადაჭარბებული ნამდვილად არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქართველ ფალავანს ნახევარფინალში გადამწყვეტი დაპირისპირება ელოდა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონთან, რუსეთის მოქალაქე გიორგი კეტოევთან, იგივე ქეთიშვილთან, ვინც ამ წონაში ოქროს მაძიებელთა შორის ერთ-ერთი გამოკვეთილი ფავორიტი იყო და რეზოს მთავარ კონკურენტადაც ითვლებოდა. ამათი გზები ბოლოს მაისში, ტამპერეში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე გადაიკვეთა და მაშინ კეტოევმა მინდორაშვილს ფინალში მოუგო.

რეზომ ჯერ კიდევ ოლიმპიადაზე გამგზავრებამდე უთხრა ქართველ სპორტულ ჟურნალისტებს — კეტოევი ჩემთვის გადაულახავ პრობლემას არ წარმოადგენს, ტამპერეში ტრავმიანმა ვიჭიდავე და იმიტომ დავმარცხდი, თორემ პეკინში წინ არავის დავიყენებ, იქ მხოლოდ ჩემპიონობისთვის მივდივარო...



მინდორაშვილების ოჯახი
— რეზო, შაკო და თამილა.
2008 წელი



*რეზო მინდორაშვილი:
„რა გასაკვირია და კახეთ-
ში ჩემი ჩასვლა ყოველთვის
ქეიფის მიზეზი ხდება. თუ
წარმატებას მივალწიე,
მაშინ კახური პურმარილი
ჩემი იქ ყოფნის გარეშეც
გარანტირებულია.“*

„მინდორამ“ დანაპირები შეასრულა — „რუსი“ მოჭიდავე რეპეშაჟ-ში გაუშვა, თვითონ კი ფინალში ტაჯიკ იუსუპ აბდუსალიმოვს დაუდგა. 29 წლის აბდუსალამოვი 2003 წელს აზიის ჩემპიონი იყო, 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი ერთადერთი შეხვედრა გიორგი კეტოევთან წააგო და ვერცხლის მედალს დაეუფლა.

...მინდორაშვილ-აბდუსალიმოვის გადამწყვეტი ოლიმპიური ბრძოლის პირველი წუთი უქულოდ გაილია, მერე კი ტაჯიკმა ცოტა აანერვიულა ქართველი გულშემატკივრები — მეტოქე ხელში აიყვანა და ზურგზე მოიგდო, მაგრამ ჩვენი ფალავანი ოსტატურად დაუძვრა ხიფათს. ის კი არა, ქულაც აიღო. ქულა აბდუსალიმოვსაც მისცეს. ცოტა ხანში ქართველი მოჭიდავე 2:1 დანინაურდა, მაგრამ მალევე, საკუთარ იღეთზე წამოეგო და სეტი 2:3 დათმო. ამის მერე კი აბდუსალიმოვის საცოდაობით დაინვებოდა კაცი. გაბრაზებულმა ქართველმა ტაჯიკი „შეჭამა“ — მეორე სეტი 3:0 მოუგო, გადამწყვეტ სეტში კი 4 უპასუხო ქულა აუღო.



ხუთჯვრიანი დროშით ხელდამშვენებული მინდორაშვილის ნახვა და ქართული ჰიმნის მოსმენა ერთ რამედ ღირდა. ერთი საინტერესო ფაქტიც: მაშინ, როდესაც რუსული თვითმფრინავები საქართველოს ბომბავდნენ, ჩინეთში სამი ქართულ-რუსული სპორტული დაპირისპირება შედგა. ვიდრე მინდორაშვილი კეტოევს დაამარცხებდა, ქალთა პლაზბურთში, საქართველომ ურიადოვა-შირიაევას დუეტი ქვეჯგუფში ჩატოვა, ძიუდოსტმა ირაკლი ცირეკიძემ კი ნახევარფინალში ივან პერშინი გააკრა ტატამს.

სპორტი სხვაა და პოლიტიკა სხვა, მაგრამ იმ სამ გამარჯვებას ქართველი გულშემატკივრისთვის მაინც სულ სხვანაირი გემო და დატვირთვა ჰქონდა.

„ნირნამხდარი ქართველი კაცისთვის იმაზე შვებისმომგვრელი და გასახარი არაფერია, საქართველოდან ათასობით კილომეტრით დაშორებით, ჩინეთის ოლიმპიადაზე, რომელსაც მილიონობით გულშემატკივარი შესცქერის, ქართველი ოლიმპიელები დამძიმებული გულებით, მაგრამ მა-

ინც ჯიგრიტ რომ ომობენ და მთელ მსოფლიოს აჩვენებენ, ვისი გორისანი არიან! ქართველი დევკაცი ისე დააბიჯებდა საჭიდაო ხალიჩაზე, როგორც ბატონი თავის ადგილ-მამულში,“ — წერდა რევაზ მინდორაშვილის გაჩემპიონების მეორე დღეს გაზეთ „სარბიელის“ კორესპონდენტი ლექსო მაისურაძე, რომელმაც იმ დღეებში ყველაზე მეტად ინვანია უსამართლობისგან გამონვეული სიმწარე — სახლ-კარი დაკარგა და თავის ქვეყანაში ლტოლვილად იქცა.

თავად ქართველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა პეკინში გამართულ პრესკონფერენციაზე ასეთი რამ თქვა: „ოჯახში ამბის გასაგებად რომ ვრეკავდი, სიმართლეს მიმაღავდნენ, ამას ჩემს შედეგზე გავლენა რომ არ მოეხდინა. მე დღეს მხოლოდ ჩემი ხალხისთვის ვიბრძოლე. ჩვენ სპორტსმენები ვართ და ომთან არანაირი შეხება არ გვაქვს, მაგრამ რაც ხდება, ამის მიმართ გულგრილი ვერ დარჩები.“

სხვათა შორის, მინდორაშვილის მეტოქე იუსუპ აბდუსალიმოვი ფინალური შეხვედრის შემდეგ იმდენად ცუდად შეიქნა, რომ საპრესკონფერენციო დარბაზში გული წაუვიდა და ექიმების მოსასულიერებელი გახდა.

„ადამიანები ვართ და შეიძლება მსგავსი რამ ყველას დაემართოს. იუსუპი ძალიან ძლიერი სპორტსმენია და მას სწრაფ გამოჯანმრთელებას ვუსურვებ,“ — უპასუხა რევაზ მინდორაშვილმა უცხოელი ჟურნალისტის კითხვას. სხვათა შორის, მინდორაშვილი ტაჯიკ ფალავანს ერთხელ დამარცხებული ჰყავდა, ამჯერად კი ქართველმა დამაჯერებელი რევანში აიღო. ჩემპიონმა ოქროს გზაზე რუსეთის სახელით მოჭიდავე გიორგი კეტოევიც ჩამოიცილა და მოკლე კომენტარი ამ შეხვედრის შესახებაც გააკეთა:

„გიორგისთან დიდი ხნის ნაცნობობა მაკავშირებს. ის საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი ბიჭია. მის შესაძლებლობებში ეჭვი არავის გვეპარება და მართლაც უძლიერესი სპორტსმენია. რაც შეეხება საქართველო-რუსეთს შორის დაძაბულ ურთიერთობას, შეხვედრის დროს ამაზე არც ვფიქრობდი“.

კეტოევმა ევროპისა და მსოფლიოს პირველობები, რომ იტყვიან, ცალი ხელით მოიგო და რა გასაკვირია, რომ რუსებს ძალიან ეიმედებოდათ, თუმცა რეზომ მათ იმედებს ცივი შხაპი გადაასხა.

„84 კგ წონითი კატეგორიის გადამწყვეტ შერკინებამდე, ამავე წონაში გაიმართა შეხვედრა ბრინჯაოს მედლისთვის, რომლის მონაწილეთაგან არც ერთი იყო გერმანელი და არც მეორე რუსი. ორთავენი საქართველოს შვილები იყვნენ — დავით ბიჩინაშვილი და გიორგი ქეთიშვილი...“ (გაზეთი „სარბიელი.“ 22 აგვისტო, 2008 წელი).

შალვა მინდორაშვილი (რეზოს მამა): „ფინალის ყურებას ოჯახის წევრები და მეზობლები ერთად ვაპირებდით, მაგრამ გურჯაანის რაიონის ხელმძღვანელობამ მანქანა გამომიგზავნა და ქალაქში მიმიპატიჟა. თეატრში დიდი ეკრანი ჰქონდათ დამონტაჟებული და დარბაზი სულ გადაჭედილი იყო ხალხით. გახდა თუ არა ჩემპიონი, გია ნაცვლიშვილმა მაშინვე გადარეკა პეკინში და რეზოს დამალაპარაკა. ისეთი ბედნიერი იყო, ძლივს საუბრობდა. თეატრიდან სახლში დაბრუნებულმა მეზობლებთან და ოჯახის ახლობლებთან ერთად ძალიან მოკრძალებულად აღვნიშნეთ გამარჯვება. რომ არა მძიმე დღეები და წამხდარი ხასიათი, გაცილებით მხარგამოილილები მრავალრიცხოვნად ვიქეიფებდით“.

გია ნაცვლიშვილი (საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი): „2008 წელს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვიყავი და ჩვენს ძიუდოისტებს პეკინში ვახლდი. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გამოსვლის დღეებში უკვე საქართველოში ვიყავი ჩამოსული. ტელეფონით ვარკვევდი ქართველების ჭიდაობის შედეგებს. გიორგი კეტოევის დამარცხების და რეზოს ფინალში გასვლის ამბავი ზურაბ უსუფაშვილმა და ზურაბ კახაბრიშვილმა შემატყობინეს. პირველი რაც გავაკეთე, ჩემს მეგობარს, გურჯაანის გამგებელ ლაშა ლაბუჩიძეს დავურეკე. მან თეატრში დიდი ეკრანი დაამონტაჟებინა და ფინალისთვის 800-კაციანი დარბაზი გადაჭედილი იყო. რუსული აგრესიისგან გამწარებულ ადამიანებს ცოცხალი ყველანაირი ტკივილი დაავინყდათ. საოცრად ბედნიერი წუთები იყო“.

თემურ მინდორაშვილი (რეზოს ბიძაშვილი): „მძიმე დღეების მიუხედავად, რეზოს გამარჯვებამ მთელი სოფელი გააცოცხლა. თითქმის ყველა ოჯახში სუფრა გაიშალა, ოღონდ ყველა მოკრძალებულად აღნიშნავდა, ისევ და ისევ იმ ცუდი პერიოდიდან გამომდინარე. სახუმარო საქმე ხომ არ იყო, კოლაგელმა კაცმა ოლიმპიადა მოიგო“.


რევან მინდორაშვილი: „ჩინეთიდან დაბრუნების შემდეგ არაერთი პრიზი მივიღე, ყველაზე უფრო კი ის დაჯილდოება დამამახსოვრდა, სადაც პრიზი ჩვენმა საყვარელმა მსახიობმა გივი ბერიკაშვილმა გადმომცა. ბატონი გივიც კოლაგელია და ეს ამბავი ძალიან მიხარია.

უკვე წლები გავიდა და ახლა უფრო შევიგრძნობ პეკინური გამარჯვების სიამოვნებას. უკვე ყველა დიდი ტურნირის ჩემპიონი ვარ. ასაკიც ისეთი მაქვს, რომ შემძლია თავისუფლად ნავიდე სპორტიდან, მაგრამ ამის გაკეთება ძალიან მიმძიმს. შეიძლება დიდ შეჯიბრებებზე აღარც ვიჭიდავო, მაგრამ საჭიდაო დარბაზს ვერაფრით ვერ მივატოვებ. თავადაც ვივარჯიშებ და რაც შემეძლება, ყველაფერს გავაკეთებ, რომ სხვებსაც მივეხმარო. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რამხელა სტიმულია, ტიტულიანი მოჭიდავის მხარში დგომა.“

დავით გონაშვილი (რევან მინდორაშვილის პირველი მწვრთნელი): „ჭიდაობა ჩემი ცხოვრებაა. მისი სიყვარულით რა არ გამიკეთებია. ბევრჯერ გამცრუებია იმედი და ტკივილიც ბევრი გამომიცდია, მაგრამ ეს ყველაფერი ერთად აღებული ვერ გადაწონის ერთ ბედნიერ დღეს და თუნდაც იმ დღის ერთ საოცარ წუთს. ბიჭი, რომელმაც წლების წინ საჭიდაო ანბანი ჩემს თვალწინ ისწავლა, პლანეტის ყველაზე მაღალ მწვერვალზე ავიდა“.

რევაზ მინდორაშვილი

დაიბადა 1976 წლის 1 ივლისს კოლაგში (გურჯაანი). თავისუფალი სტილის მოჭიდავე (84 კგ). XXIX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (2008, პეკინი), მსოფლიოს ჩემპიონი (2005), მეორე (2006) და მესამე პრიზიორი (2003), ევროპის ჩემპიონი (2003), ორგზის მეორე (2004, 2008) და მესამე პრიზიორი (2002). მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული. ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (2004, XIII ადგილი). ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის, ღირსების ორდენის და მედლის კავალერი.



REVAZ MINDORASHVILI

Freestyle wrestler (84 kg), was born on July 1, 1976 in Kolagi village (Gurjaani). He is a champion of the XXIX Olympic Games (2008, Beijing), world champion in 2005, silver medalist in 2006 and bronze medalist in 2003. Mindorashvili was champion of Europe in 2003, silver medalist in 2004 and 2008 and bronze medalist in 2002. He is a winner of numerous international tournaments and entrant (13th place) of the 2004 Athens Olympic Games. Mindorashvili is decorated by Vakhtang Gorgasali order of the 2nd rate and by the Order and Medal of Honor.